# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 17 ივლისი, 2013 წელი.

№133 (7260)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რაულ უსუპოვის სხეულში შხამი აღმოუჩენიათ



2

## ქართველი ნორიეგა



3

6

## სააკაშვილის მზაკვრული ჩანაფიქრი

ბიზნესმენ როდიკო გოგუაძის მიმართვა ავსტრიიდან

## დროა, ქართულმა ბიზნესმა აქტიურად დაიწყოს ბრძოლა თავისი უფლებების დასაცავად



3

ნუ გადავყრით წყალში ქართველი ამომრჩევლისა და ბიძინა ივანიშვილის თავგანწირული ბრძოლის შედეგს!

## საქართველოს დაუბინდავი მზერით შეხედეთ

8

## ასეთი რა არის ეს ევროპა, რომ ორი ბრალდებული სასულიერო პირის თავდებობა გვესირცხვილება?

6



## ქუთაისელები „ვისოლის“ მეპატრონეს ემუქრებიან!

10

## სნოუდენთან დაკავშირებული აჟიოტაჟი გრძელდება

5




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

### ძიება აქტიურად მიმდინარეობს

**მთავარი პროკურორი ამბობს, რომ მისი უწყების ერთ-ერთი პრიორიტეტულ საქმედ ყოფილი პრემიერის და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის გარდაცვალების გარემოების ზუსტი და თანმიმდევრული გამოძიება რჩება, რომლის ფარგლებში გარკვეული პროგრესი არის. დაერთვება თუ არა ამ საქმეს ექსპერტიზის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელის ლევან სამხარაულის მკვლელობის საქმე, მთავარი პროკურორი ამ საქმეების შესაძლო სამართლებლივ კავშირებზე კომენტარს არ აკეთებს. ლევან სამხარაულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეწყვეტილი საქმე განახლდა. ჯერჯერობით დაკითხული არავინაა, თუმცა როგორც პროკურატურაში განმარტავენ, მიმდინარეობს სხვა საგამოძიებო მოქმედებები.**

**ლევან სამხარაული, რომელიც, მაშინ, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელობდა, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 3 თვეში ყვარელში მოკლეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა კი თავი მოიკლა. მას თავში და გულში 2 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლევან სამხარაული ესწრებოდა იმ გამათბობლის შემოწმების პროცედურას, რომელიც გამოძიების დასაწყისშივე ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების მიზეზად დასახელდა.**

**რაულ უსუპოვის მამა, იაშა უსუპოვი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მისი შვილი ჯერ ხელით მოახრჩვეს და შემდეგ ორგანიზმში შხამი ნემსით შეუშვეს. ისევე როგორც გარდაცვლილი პრემიერის ძმა, გოგლა ჟვანია, იაშა უსუპოვიც ყოფილი პრემიერის გარდაცვალების ინსცენირების მონაწილეებად მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს და გიორგი ბარამიძეს ასახელებს.**

# რაულ უსუპოვის სხეულში შხამი აღმოუჩენიათ

## ზურაბ ჟვანიასთან ერთად დაღუპული რაულ უსუპოვის მამა იაშა უსუპოვი ახალ დეტალებს ამხელს

**იაშა უსუპოვი:** თითქმის, ყოველ კვირა გენერალურ პროკურატურაში ვარ. ძიება ცოტა რთულად, მაგრამ აქტიურად მიმდინარეობს.

**— ამ შემთხვევიდან 8 წელი გავიდა. რას ფიქრობთ დღეს, ეს იყო უბედური შემთხვევა, თუ ეს იყო მკვლელობა?**

— მესამე დღეს უკვე გამოვიტანე დასკვნა, რომ ისინი მოკლულები იყვნენ. გამოძიება მიმდინარეობს იმ მიმართულებით როგორ და რითი არიან მოკლულები. გაზის გაგუდვის ვერსია საერთოდ უნდა გამოვრიცხოთ. ეს მხოლოდ სააკაშვილს და მის მომხრეებს აწყობდათ და აწყობთ ახლაც. გაზი იმ საღამოს ბინაში არ იყო და გაზით როგორ გაიგუდებოდნენ? ჩემს შვილს ყელზე ჰქონდა ზოლი, ძალიან წვრილად ეტყობოდა მკერდზე ნანემსარი. ჩვენ დღეს მივედით იმ დასკვნამდე, რომ სხეულში შხამი შეუშვეს.

**— სად ჰქონდა მას ნემსი გაკეთებული?**

— ორივე მკერდის თავზე ჰქონდა წვრილი ნანემსარი. ყელზე შავი ზოლი ეტყობოდა. როგორც ჩანს, მანქანაში რომ იჯდა, უკნიდან ყელზე მოუჭირეს ხელი, ასე გათიშეს და მერე შხამი შეუშვეს მის ორგანიზმში. დანარჩენს გამოძიება გაარკვევს, მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით ამ საკითხზე.

**— როგორ ფიქრობთ, ამ მკვლელობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირები?**

— რა თქმა უნდა, და მათ ვინაობას გამოძიება დაასახელებს. არის ფაქტები, მაგრამ ეს გამოძიების პრეროგატივაა. ისეთი ფაქტები დაიდება, რომ მერე ხმის ამოღებას ვერ გაბედავენ, შვილო, ნაციონალები. რა თქმა უნდა, მაღალი თანამდებობის პირების გარეშე მათ ვერ დახოცავდნენ. როგორ ფიქრობთ, პრემიერ-მინისტრს რომ კლავდნენ, ეს არ იცოდნენ მაღალი თანამდებობის პირებმა? რა თქმა უნდა, - იცოდნენ.




**— მათ შორის პრეზიდენტმაც? ან ყოფილმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა?**

— ყოველგვარი ექსპერტიზისა და გამოძიების გარეშე დილის 8 საათზე მერაბიშვილმა და ადეიშვილმა რატომ გამოაცხადეს, რომ ისინი თითქოსდა გაზით გაიგუდნენ?! დავუშვათ, მერაბიშვილი ამბობდა ტყუილს, გვერდზე რომ ედგა უჩუმრად ადეიშვილი, ეს ნიშნავს, რომ ეთანხმებოდა ამ ვერსიას. თუნდაც, რომ არ სცოდნოდა მაინც დამნაშავეა. სიმართლე ორივემ იცოდა, მაგრამ მოიტყუეს.

**— ეთანხმებით ყოფილი პრემიერის ძმას იმაში, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ამ საქმეს ხელს აფარებდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სიმართლე არ დადგენილიყო?**

— რა თქმა უნდა, იმავე აზრზე ვარ. რატომ და რისთვის, ამას უკვე ძიების დასრულების შემდეგ გაიგებთ. პრეზიდენტს არ უნდოდა ამ საქმის გახსნა. გოგლას შეჰპირდა, რომ ამერიკიდან ჩამოიყვანდა გამომძიებლებს, მაგრამ არ ჩამოიყვანა. ან რისთვის უნდა ჩამოეყვანა, თავიანთ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად ხომ არ ჩამოიყვანდა? პრეზიდენტმა ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი. 40 დღის შემდეგ ზურას საფლავზე არ მისულა პრეზიდენტი, თან ზურას თვლიდა თავის ახლო მეგობრად.

**— თქვენთან თუ იყვნენ მოსულები მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები?**

— გიორგი ბოტკოველის გარდა არავინ არ იყო.

**— რაიმე სახის ზეწოლა იყო თქვენზე?**

— არანაირი. მე მაშინაც ასე ვამბობდი, რომ ამ მკვლელობაში ჩართული იყვნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი და სააკაშვილი.

**— ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრებზე რას იტყვით?**

— პირველი დამნაშავეები ესენი არიან, ეგ გამყიდველები. მათი ხელშეწყობით მოხდა ეს ყველაფერი. ყველაფერი მალე დადგინდება. დაცვის მოვალეობა იყო, დაეცვა პრემიერ-მინისტრი, ამათ კი ვერ დაიცვეს. მოკლეს კაცი, ე.ი. ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

**— ვერ შეასრულეს თუ არ შეასრულეს?**

— არ შეასრულეს. წინასწარ არ მინდა ამაზე ლაპარაკი, შეიძლება თვითონაც მონაწილეობდნენ ამ მკვლელობაში.

**— მაინცდამაინც თქვენს შვილზე რატომ შეჩერდა არჩევანი? ყოფილ პრემიერთან რაული არ იყო დაახლოებული პირი...**

— ალბათ, იმიტომ, რომ აზერბაიჯანელი იყო. ერთ რამეს გეტყვით, სცენარი, რომელიც ამათ დადგეს მკვლელობის შემდეგ, შეცდომებით იყო სავსე. ხან ძეხვი დადეს სუფრაზე... თურმე ერთი ჭიქით სვამდა ორი კაცი და ა.შ. რაული უფრო ადვილად მოატყუეს, ვიდრე ბარამიძე ან მაჭავარიანი მოტყუვდებოდა. რაულის რომ არ ჩაერთო ტელეფონი და არ წასულიყო, იმ საღამოს ხომ სხვას წაიყვანდნენ?! ეს იყო დადგმული წინასწარ. სატელეფონო საუბრებიდან ჩანს, რომ რაულს დილიდანვე ურეკავდნენ ძაძამიას ტელეფონიდან, ამოწმებდნენ, იყო თუ არა ადგილზე, რაც ადასტურებს იმას, რომ ეს მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი. მერე მოიფიქრეს უკვე სახელის დაბინძურება. ხალხი რომ არ გამოსულიყო ქუჩაში, ამიტომ ჩირქი მოსცხეს პრემიერის და ჩემი შვილის სახელს.

გამოძიებით კმაყოფილი ვარ. ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ამის გახმოვანების უფლება არ მაქვს. არ მინდა, ხელი შევუშალო გამოძიებას და მოვლენებს გავუსწრო. ყოველ კვირა, თითქმის, პროკურატურაში ვარ. ეს საქმე გაუხსნელი არ დარჩება. დარწმუნებული ვარ, რომ მალე გაიგებს საზოგადოება მკვლელობის მიზეზებს. ვინც არ უნდა იყოს ამ მკვლელობის შემკვეთი, უნდა დაისაჯოს, არ აქვს მნიშვნელობა პრეზიდენტია, შს მინისტრი თუ გენერალური პროკურორი. არავის არ უნდა შერჩეს ეს მკვლელობა. როცა ხელისუფლების წარმომადგენელი სჩადის დანაშაულს, ის ორმაგად უნდა დაისაჯოს.

**თამთა ქარჩავა**

### კადრები

## განათლების მინისტრად თამარ სანიკიძე წარადგინეს

**„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე თამარ სანიკიძე ოფიციალურად წარადგინა. თამარ სანიკიძე ამ დრომდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა.**

**როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, მას სურს, საზოგადოებას ახალ მინისტრთან ერთად ერთგვარი ანგარიში ჩააბაროს იმის თაობაზე, თუ რა განხორციელდა სამინისტროში მისი მინისტრობის პერიოდში.**

**მარგველაშვილის განცხადებით,**



**პირველი და მთავარი, რაც გაკეთდა, არის ის, რომ მოხდა განათლების სისტემის დეპოლიტიზაცია.**

**მისივე თქმით, 25-დან 60%-მდე გაიზარდა პედაგოგების ხელფასები. ასეთი ზრდა 70 ათასამდე პედაგოგს შეეხო. გაიზარდა სკოლის ადმინისტრაციის ხელფასები 40-დან 45%-მდე და ეს შეეხო 15 000-მდე სკოლის ადმინისტრატორს.**

**მარგველაშვილისვე განცხადებით, დაფუძნდა სასკოლო ავტობუსების პროგრამა და 16 000 ბავშვი სარგებლობს ამ მომსახურებით.**

**„შეიქმნა უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა, რომელიც რეალურად სექტემბერში განხორციელდება. სექტემბერში საჯარო სკოლებში ყველა ბავშვს მერხზე წიგნები დახვდება. ეს რეფორმა დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ოჯახს შეეხო. ასევე დაფუძნდა ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სასწავლებლებში დაახლოებით 15 ათასამდე ბავშვი მომავალ წელს ისწავლის უფასოდ. უმაღლეს სასწავლებლებში შემოვიღეთ 17 ახალი სპეციალობა, სადაც სტუდენტები უფასოდ ისწავლიან. გაორმაგდა სტუდენტების დაფინანსების მიმართულება. პირველად ბოლო პერიოდის განმავლობაში, უმაღლესებში დაფინანსდა დოქტორანტურა. დაიწყო სკოლების მშენებლობა. 600-მდე სკოლის რებილიტაცია მოხდება ამ წელს და რვის მშენებლობა დაიწყო.**

### ინფორმაცია

## გიორგი მარგველაშვილს მხარს ვუჭერ, როგორც რიგითი მოქალაქე



**ამის შესახებ ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. კითხვაზე, როგორი იქნება თქვენი მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში და როგორ შეაფასებთ წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებს, ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ უპასუხა, რომ პოლიტიკა არ აინტერესებს.**

**— მე პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, არ მაინტერესებს. გიორგი არის ჩემი უახლოესი მეგობარი, ძალიან ვგულშემატკივრობ მას და მხარს ვუჭერ, როგორც რიგითი მოქალაქე, — განაცხადა ლევან ვასაძემ.**

### ჭირი თავს არ მალავს

# სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დათა ახალაიას დაგეგმილია

**სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დათა ახალაიას დაგეგმილია, ხოლო ოლეგ მელნიკოვი მომხდარის დროს იქ იყო, - ამის შესახებ ჟურნალისტებს მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა გელა მებონიამ განუცხადა. მისი თქმით, დათა ახალაიას ბრძანების გარეშე კუდ-ის თანამშრომლები ვერც ერთ ბრძანებას ვერ შეასრულებდნენ.**

— ამ ამბის მოხდენის შემდეგ, მე უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მივედი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, ჩვენ 6 ადამიანის ნაკვალევი აღმოვაჩინეთ. ერთ-ერთი ნაკვალევი იმ ფეხსაცმლის იყო, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს ოლეგ მელნიკოვს ეცვა. მეექვსე ადამიანი ვინ იყო ჩემთვის უცნობია, დანარჩენი ოთხი კი ისინი იყვნენ, ვინც დააკავეს. დაკავებულები კუდის თანამშრომლები იყვნენ და ისინი დათა ახალაიას ბრძანების გარეშე არაფერს მოიმოქმედებდნენ. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ დათა ახალაიამ გასცა იმის ბრძანება, რაც იქ მოხდა, — განაცხადა მებონიამ.

მისივე თქმით, მან უშუალოდ ნახა ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანდრო გირგვლიანის ცხედარი.

— ის ნაწამები და შიშველი იყო. უბრალოდ, ენით ვერ აღვწერ, თუ რა მდგომარეობაში იყო ცხედარი, — აღნიშნა მებონიამ.

როგორც მებონია აცხადებს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ის პროკატურაში ჩვენების მიცემას აპირებს.

ამასთან, მებონიას თქმით, ჩვენებას ასევე მისცემს ირაკლი ფირცხალავას წინააღმდეგ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

გელა მებონია, რომელიც 2006 წელს, კორტებთან მომხდარი სპეცოპერაციის თანამონაწილეა, აცხადებს, რომ ვაზაგაშვილისა და მისი თანმხლებების ავტომობილში იარაღის ჩადებას პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავა ცდილობდა.

როგორც მებონიამ განაცხადა, იმ ავტომობილში, სადაც ვაზაგაშვილი იჯდა, იარაღი ნამდვილად იყო, თუმცა, გასროლა არ მომხდარა და ახალგაზრდების ავტომობილს 117 ტყვია სპეცრაზმელებმა ქუჩის მეორე მხრიდან ესროლეს.



ყოფილი პოლიციელი მზადაა, ვაზაგაშვილის საქმეზე დეტალები გამოძიებას მოუყვეს. მისი განცხადებით, სროლების შემდეგ, თავად შეამოწმა BMW-ს მარკის ავტომობილი, სადაც ვაზაგაშვილი და კიდევ ორი პირი ისხდნენ, შეამოწმა იარაღიც, რომლიდანაც გასროლა არ განხორციელებულა.

— მათ ავტომობილში იარაღი იყო, თუმცა, თავდაპირველად პოლიციელებმა ვერ შენიშნეს. ერთს - მძღოლს იარაღი ზურგის მხარეს ედო, მეორეს, ქვემოთ, ავტომობილის სავარძლის ქვეშ, ხოლო მესამეს, რომელიც უკანა სავარძელზე იჯდა, იარაღი უკან ედო, ამიტომ ვერ ნახეს პოლიციელებმა იარაღი. ამიტომ გადარეკა ფირცხალავამ და მოითხოვა, იარაღი მოიტანეთ, შარში ვართო. მოიყვანეს იარაღიანი მანქანა, მაგრამ მე ამბავი ავტეხე, ამასობაში კრიმინალისტებიც მოვიდნენ და დაიწყეს დათვალიერება, — აღნიშნა გელა მებონიამ.

მისი განცხადებით, სპეცოპერაციაში სხვა მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ, რომელთა ვინაობას დაინტერესების შემთხვევაში გამოძიებას გააცნობს.

**ინტერპრესი**

◉ ბიზნესმენის მიმართვა ავსტრიიდან

# დროა, ქართულმა ბიზნესმა აქტიურად დაიწყოს ბრძოლა თავისი უფლებების დასაცავად

## ნუ გადაჰყრით წყალში ქართველი ამომრჩევლისა და ბიძინა ივანიშვილის თავგანწირული ბრძოლის შედეგს!

**„ძვირფასო მეგობრებო, საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდი, მიმეცა თუ არა ჩემი თავისთვის უფლება, რომ ღია წერილით და მსგავსი პათოსით მომემართა თქვენთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ დრო აღარ ითმენს და ახლა დუმილი დანაშაული იქნება, ამიტომაც გადავწყვიტე მოგმართოთ. განვლილმა ათწლეულმა მძიმე დაღი დაასვა ქართულ ბიზნესს და ბიზნესმენებს. ეს სიმძიმე ბევრმა თქვენგანმა იწვნია საკუთარ თავზე. ამ ათწლეულის განმავლობაში თქვენი აბსოლუტური ისევე როგორც მე, უმრავლესობა, ყოფილი ხელისუფლებისგან უსაფუძვლო ბრალდებებს, დევნას და წინააღმდეგობას განიცდიდა. ისინი ცდილობდნენ და შეძლეს კიდეც, დაემკვიდრებინათ მიდგომა, რომ ბიზნესმენი დამნაშავეა — ის ხომ „ფულს შოულობს“, არადა თუ კი რამე კარგი გაკეთებულა ქვეყანაში, ეს თქვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხებითაა გაკეთებული. ამით უნდა იამაყოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიზნესის შექმნას და მართვას დიდი შრომა და ჭკუა სჭირდება. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ და იმედი მაქვს თქვენი გონიერებისა.**

პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ახალ ხელისუფლებას „ბიზნესის ენა კარგად ესმის“. ეს ცვლილება, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა ზოგიერთმა დღევანდელი სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენელმა, ისევე როგორც ბევრმა ბიზნესმენმა. დღესაც ცალკეულ შემთხვევებში ისინი დაუმსახურებელ ბრალდებებს უყენებენ ბიზნესმენებს, ზეწოლას ახდენენ მათზე, ასევე უდიერ დამოკიდებულებას იჩენენ კერძო საკუთრებისადმი. ანალოგიურად, ცალკეული შემთხვევებით დაიწყო წინა ხელისუფლების დროსაც ბიზნესზე ზეწოლა, რომელიც მასიურ შეტევაში გადაიზარდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ბიზნესის უმძიმესი მდგომარეობა პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე.

იმედი მაქვს, ქართული ბიზნესი გაიაზრებს დაშვებულ შეცდომებს, აღარ გაიმეორებს მას, გვერდზე გადადებს პირად ამბიციებს, გაერთიანდება და ერთიანი ძალით წინ აღუდგება იმ მანკიერ მოვლენებს, რომლებიც სამწუხაროდ, დღესაც ხდება. არა აქვს მნიშვნელობა კონკრეტულად რომელ ბიზნესს ეხება ეს დღეს, შემდეგი ის ბიზნესი იქნება, რომელშიც თქვენ საქმიანობთ. იმედი ნუ გვექნება, რომ ჩვენ გასაკეთებელ საქმეს ვინმე სხვა გააკეთებს ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ. ამით ხელისუფლებას მხოლოდ დავეხმარებით.

**დროა, ქართულმა ბიზნესმა თავი მაღლა ასწიოს და საკადრისი პასუხი გასცეს მოძალადე ჩინოვნიკს, რომელსაც დღევანდელი რეალობის ობიექტურად აღქმის უნარიც კი არა აქვს, ფიქრობს, რომ იმავეს გაიმეორებს, რასაც წინა წლების განმავლობაში მისი წინამორბედი აკეთებდა.**

**დროა, ქართულმა ბიზნესმა მოიშოროს ათწლეულების განმავლობაში მასზე მიკრული იარლიყი, რომ იგი დამნაშავეა და ამით დაასრულოს საბჭოური „საქმოსნების“ ეპოქა. დროა, ქართულმა ბიზნესმა აქტიურად დაიწყოს ბრძოლა თავისი უფლებების დასაცავად.**

**დროა, ქართულმა ბიზნესმა დაანებოს თავი „ლობის“ ძიებას სახელისუფლებო ეშელონებში, ეს მათ უკანონო საქმიანობის და სხვისი ბიზნესის ხელში ჩაგდების საშუალებას არ მისცემს.**

**დროა, ქართული ბიზნესი და ბიზნესმენი დადგეს იქ, სადაც მისი ღირსეული ადგილია.**

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ ბიზნესს იმავე მდგომარეობაში ყოფნა მოუწევს, რა მდგომარეობაშიც ის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე იყო.**

გთხოვთ, კარგად გავაცნობიეროთ არსებული სიტუაცია, ნუ გადაჰყრით წყალში ქართველი ამომრჩევლისა და ბიძინა ივანიშვილის თავგანწირული ბრძოლის შედეგს, რომელმაც ქართულ ბიზნესს ღირსების დაბრუნების საშუალება მისცა.

ნუ დავივიწყებთ პრემიერის განცხადებას, რომ **„ვერავინ ვერ გაბედავს კერძო ბიზნესში ჩარევას და აღარ მოხდება არავითარი გადანაწილებები და მთავრობის არც ერთ ჩინოვნიკს არ ექნება უფლება კანონის გარეშე კერძო ბიზნესში ჩარევის“. მე მგონია, რომ ძალიან მოკლე დროში კარგად გააცნობიერეს ეს ბიზნესმენებმა. ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ საქართველოში ეკონომიკის აღორძინებას, რადგან გადამწყვეტი როლი ეკონომიკის აღორძინებაში სწორედ რომ ბიზნესმენს ეკუთვნის და იმ ინვესტიციებს, რომლებსაც ბიზნესმენები ახორციელებენ“.**



ასეთი შანსი, შანსი დემოკრატიული, ძლიერი საზოგადოების შექმნისა, შანსი თავისუფალი ბიზნესის არსებობისა საქართველოში, შეიძლება ქართულ ბიზნესს აღარც კი ჰქონდეს.

პატივისცემით

**როდიკო გოგუაძე,**
ვენა, ავსტრია

◉ უკანონო ტრანზიტი

# სააკაშვილი — ქართველი ნორიეგა



**სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას აზრით, საუდის არაბეთში ვიზიტებისას სააკაშვილი აშშ-ის მიერ შავ სიაში შეყვანილ საუდის არაბეთის დაზვერვის სამსახურის ყოფილ უფროსს — ადნახა ჟოგის ხშირად ხვდებოდა, რომელიც, თავის მხრივ, იარაღით გავლენიანი მოვაჭრეა.**

ექსპერტის განმარტებით, ადნახა ჟოგი აქტიურად მოქმედებდა ლიბანში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიის მიმართულებითაც. ამიტომ, ექსპერტი თვლის, რომ დავით კეზერაშვილის კავშირები თუ გაიშიფრება, ისიც გაირკვევა, იარაღი სად და როგორ მოძრაობდა.

ვახტანგ მაისაიას აზრით, დანაშაულებრივ სქემაში ჩართული იყო, ასევე, დუბაიში ფიქსირებული ვიქტორ ბუტის კომპანიაც, რომელიც ახორციელებდა ევროპის მიმართულებით იარაღის გადაადგილებას. ამ სამი მომენტის, ასევე, ფოთის პორტის პრივატიზაციის გეგმების უკან კი, რომელსაც არაბულ კომპანიასთან მივყავართ, შეიძლება იდგეს ადნახა ჟოგი- უძლიერესი ფიგურა, რომელიც, ბუნებრივია, ჩრდილში მოქმედებს. თუმცა, იგი ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ შეტანილი იყო შავ სიაში და მას ამერიკაში ახლაც არ შეესვლება. ამდენად, ვახტანგ მაისაიას აზრით, ყველაფერი ამის გადამოწმება თუ მოხდება, ბევრი რამ გამოჩნდება.

**„ჩემი ანალიტიკური დასკვნით, სააკაშვილი რომ დარბოდა არაბეთში, კონკრეტულად, აბუ-დაბიში, დუბაისა და კატარში, ეს ის ადგილებია, სადაც ოფიციალურად აქვს შტაბ-ბინა თალიბანის მოძრაობას, სადაც იყო ვიქტორ ბუტის ოფისი. სწორედ აბუ-დაბისა და კატარში აქტიურობდა საუდის არაბეთის დაზვერვა და მათთან დაახლოებული პირები, განსაკუთრებით, ადნახა ჟოგი, რომელიც ნომერ პირველი იარაღით მოვაჭრე და საკმაოდ სკანდალური პიროვნებაა და ერთი პერიოდი, ბინ ლადენის კომპანიის წარმომადგენელიც გახლდათ. ამ კუთხით, სააკაშვილის ვიზიტები ბევრ კითხვას იწვევდა. თვითონ მიხეილ სააკაშვილმაც თქვა, რომ ის არაბული ბიზნესის ინვესტიციების მოზიდვას ახორციელებდა. თუმცა ჩემს მიერ ჩამოთვლილ ადგილებში მოქმედებდნენ, როგორც ჩვეულებრივი, ისე შავი ბიზნესის წარმომადგენლები. მათ შორის, იარაღით, ნარკოტიკებით მოვაჭრეები. ნაწილობრივ ამას ადასტურებს ისიც, რომ 7 ტონა ნარკოტიკი გადიოდა საქართველოს ტერიტორიიდან, რაც გაეროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტებშიცაა დაფიქსირებული. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დაადასტურეს, რომ საქართველო იყო არალეგალური იარაღის ქვეყანა და აქედან ხდებოდა ექსპორტი“,** — აღნიშნა For.ge-სთან საუბარში ვახტანგ მაისაიამ.

> **ვახტანგ მაისაია აღნიშნავს, რომ სააკაშვილის საეჭვო კავშირებს მტკიცებულებაც არ სჭირდება. მით უფრო, რომ პირადად იგი, როგორც ექსპერტი, გახლდათ ეუთოს საერთაშორისო ექსპერტი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, ასევე, პოლიტიკური ისლამის სფეროში დაცული აქვს დისერტაცია. ამდენად, ასეთი გონივრული ეჭვის საფუძველი მას ნამდვილად აქვს.**

მისი თქმით, ლაფანყურის ოპერაცია პირდაპირ კავშირშია, რომ სააკაშვილს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ვაჰაბიტურ რადიკალ დაჯგუფებებთან. საუბარია ბარაევისა და ძმები ახმადოვების მომხრე დაჯგუფებებთან, რომლებიც დაქირავებული ვაჰაბიტი მებრძოლები არიან და ყველაფერზე მიდიან. ამაში ვახტანგ მაისაია გულისხმობს სიკვდილის ესკადრონების შექმნას, ადამიანების გატაცებას, იარაღის ბიზნესსა და ნარკოტიკებს. ასეთ დაჯგუფებასთან კი არა მარტო სააკაშვილსა და მის დაჯგუფებას, არამედ საიდუმლო პოლიციას — კონტრდაზვერვის დეპარტამენტსაც ჰქონდა უშუალო კავშირი.

ვახტანგ მაისაია აღნიშნავს, რომ სააკაშვილის საეჭვო კავშირებს მტკიცებულებაც არ სჭირდება. მით უფრო, რომ პირადად იგი, როგორც ექსპერტი, გახლდათ ეუთოს საერთაშორისო ექსპერტი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, ასევე, პოლიტიკური ისლამის სფეროში დაცული აქვს დისერტაცია. ამდენად, ასეთი გონივრული ეჭვის საფუძველი მას ნამდვილად აქვს.

ამდენად, ვახტანგ მაისაია აცხადებს, თუ ეს კავშირები დაუმტკიცდება სააკაშვილს, მას ამერიკის სასამართლოსთან ექნება საქმე, ვინაიდან ვიქტორ ბუტიც გაასამართლა ამერიკის სასამართლომ და ამერიკულმა მხარემ მოითხოვა მისი დაკავება. ასე რომ, სააკაშვილის მოქმედება ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება და ეს იქნება რეალური მაგალითი იმისა, რომ სააკაშვილი ტყუილად ეფიცებოდა ამერიკას ერთგულებას.

**„ეს იქნება ნორიეგას ვარიანტი. სააკაშვილი არის ქართველი ნორიეგა. თავის დროზე მანუელ ანტონიო ნორიეგა მორენო იყო პროამერიკული იდეის მქონე პიროვნება, მას კავშირი ჰქონდა იმდროინდელი ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მაგრამ მოგვიანებით მან კავშირები დაამყარა კოლუმბიურ მემარცხენე რადიკალურ დაჯგუფებასთან. გარდა ამისა, მას ურთიერთობა ჰქონდა კოლუმბიის კარტელის წარმომადგენლებთან. ამიტომაც ამერიკელები პანამაში შეიჭრნენ, ნორიეგა დააპატიმრეს და გაასამართლეს, რადგან იგი ამერიკის ნაციონალურ ინტერესებს და მის უსაფრთხოებას რეალურ საფრთხეს უქმნიდა. იგივე ბედი ელის მიხეილ სააკაშვილს“,** — მიიჩნევს ვახტანგ მაისაია.

ამასთან, ექსპერტი იარაღის უკანონო ვაჭრობით მიღებულ სავარაუდო საკმაოდ დიდ თანხებზეც საუბრობს. კერძოდ, მსოფლიო მასშტაბით, რამდენიმე მილიარდს აღწევს ეს თანხები. მარტო რუსეთის ფედერაცია ოფიციალური იარაღის გაყიდვით იღებს 10-დან 20 მილიარდ დოლარამდე შემოსავალს. არალეგალური ბიზნესის მოცულობა კი დაახლოებით ამდენივეა, თუ — უფრო მეტიც არა. ქართული მხარე კი ამ ყველაფერში, სავარაუდოდ, 5-10 მილიარდი დოლარით ხეირობდა.

**„აქ რამდენიმე სქემის კომბინაციაა და თანხის დადგენა ცოტა რთულია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ საქართველო იყო არალეგალური იარაღის ქვეყანა სწორედ მიხეილ სააკაშვილის პერიოდში. 2011-12 წლებში საქართველოს გავლით აქაური თვითმფრინავით ხდებოდა კალაშნიკოვების დიდი პარტიის გადაზიდვა უგანდაში. ეს ტვირთი ბულგარეთის პოლიციამ დააპატიმრა და აღმოჩნდა, რომ საქართველოს მიმართულებიდან მიდიოდა. ბულგარეთის ტრანზიტს სწორედ ვიქტორ ბუტის კომპანია იყენებდა“,** — მიიჩნევს ყოფილი პოლიტპატიმარი.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე აღნიშნულ ინფორმაციას ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს, თუმცა დიდი ალბათობით, აცხადებს, რომ საქართველო მიმზიდველი იქნებოდა ნარკოტიკული საშუალებების თუ იარაღის ტრანზიტისთვის, რადგან საეჭვო პირების მიერ ადვილად ხდება ჩვენისთანა ქვეყნების კონტროლი და საეჭვო ტვირთების გადაადგილება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს არანაირი დემოკრატიული კონტროლი არ ხორციელდებოდა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებზე.

**„ასეთ შემთხვევებში, ხდება თანხაზე შეთანხმება მასთან, ვინც აკონტროლებს სიტუაციას და, ვისაც შეუძლია ძალოვანების კონტროლი. ამის შემდეგ კი უკვე მარტივია და გარანტიაც გაქვს, რომ შენი ტვირთი უსაფრთხოდ გაივლის. იქ იყვნენ ლიდერები, რომლებსაც შეეძლოთ, გარკვეული ჯგუფებისთვის ისეთი პირობები შეექმნათ, რომ საიდუმლო ოპერაციის საფარქვეშ იარაღის უკანონო მიმოქცევა მომხდარიყო“,** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე და მიიჩნევს, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუკი ჟურნალისტური გამოძიება ამ საკითხით დაინტერესდება.

მისი აზრით, როცა ასეთი ტიპის სამალავების თემა აქტუალურია და როცა, თუნდაც, ნარკოტიკის ასეთ დიდ პარტიას აკავებენ, გამოძიება მარტო იმ კუთხით კი არ უნდა წარიმართოს, რომ ერთი კონკრეტული დამნაშავე დაისაჯოს, არამედ სპეციალური ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომ ამ მიმართულებით საქართველო უმაღლეს დონეზე გაკონტროლდეს.

გიორგი თავდგირიძის განმარტებით, უკანონო ტრანზიტის აღკვეთა აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ ევროპულმა ქვეყნებმა სერიოზულად შემოგვხედონ და ნატოში გავწევრიანდეთ.

**მანანა ნოზაძე**

**სან-ფრანცისკოს აეროპორტიდან გამოფრენისას ა.წ. ივნისში ჰოლივუდელმა იმპრესარიომ უმორჩილესად მთხოვა თბილისში ორგანიზაცია „იდენტობისათვის“ წერილის და სურათის გადაცემა. რადგანაც აღმოჩნდა, რომ წერილის გამომგზავნმა ამ ორგანიზაციის მისამართი არ იცოდა და ვერც მე დავადგინე, გადავწყვიტე მისი საჯაროდ გამოქვეყნება, რისი უფლებაც სან-ფრანცისკოშივე მივიღე. წერილს უცვლელი სახით ვაქვეყნებ.**

# „გული გულს იცნობს და ღონე ღონეს“

## ღია წერილი აიდაჰოდან ჩემს სულიერ მეგობრებს NGO „იდენტობიდან“



„ქალბატონებო და ბატონებო,

დიდი ხნის განმავლობაში საშინელ დეპრესიაში მყოფმა იმედის უკანასკნელ ნაპერწკლად აღვიქვი შეტყობინება ტოლერანტობისა და დემოკრატიის უკანასკნელ საყრდენ პუნქტ საქართველოდან, სადაც ფართო ფრონტით გაშალა საქმიანობა ლგბტ-ებზე მზრუნველმა ორგანიზაცია „იდენტობამ“. ამ ორგანიზაციის საქმიანობის და 17 მაისის მოვლენებში მისი მონაწილეობის ანალაზი ცხადყოფს, რომ ჩემთვის და ჩემნაირებისთვის ყველაფერი დამთავრებული არაა. შესაძლებელია, რომ ჩემი მიკუთვნება ლგბტ-თადმი ერთობ სათუო აღმოჩნდეს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ორგანიზაცია მომხრეა ყოველგვარი უსაზღვრო თავისუფლების, მაფიქრებინებს, რომ ბოლოს და ბოლოს, როდესმე პლანეტის ერთ ნათელ წერტილში მაინც აღსრულდება ჩემი და ჩემი მეორე ნახევრის ოცნება რომ სრულფასოვანი ოჯახი შევქმნა.

ვბედავ და მივმართავ „იდენტობას“, რომ გამაწევრიანოს ქართველ ლგბტ-თა რიგებში, მიუხედავად იმისა, რომ მეეე ნამდვილად თხა გახლავართ.

თხაც არის და თხაც, მეეე ცისფერსისხლიან მერინოსელ თხათა კატეგორიას მივეკუთვნები. ჩემი წინაპრები აიდაჰოში ორი საუკუნის წინ გადმოსახლდნენ, სავარაუდოდ არარატის მთის მიმდებარე ტერიტორიიდან. გადმოსახლების ნამდვილი მიზეზი ცნობილი მხატვრის, ედუარდ ჰენრი ავრილის ბერძენი მოხუცისადმი მიძღვნილ ნახატშია უკვდავყოფილი. მამაჩემმა ჰიგოტამ და დედაჩემმა შიგოტამ სან-ფრანცისკოში იქორწინეს, რასაც წინამდებარე ფოტოც ადასტურებს

ბავშვობა მხიარული და უდარდელი მქონდა. მშობლები პურიტანულად მზრდიდნენ. სწავლაში დიდი წარმატებებით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ როგორც ჩემი მშობლები ამბობდნენ, ეს არ იყო მთავარი. მთავარი, მათი აზრით, იყო იმის გაგება, რომ მეეე დროულად და სარფიანად უნდა გავთხოვილიყავი ჩემსავე მოდგმის თხაზე.

მეც ამ შეგნებით ვიზრდებოდი. თანაკლასელებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ეგ იყო მხოლოდ რომ თინეიჯერულ ასაკში თვალები რატომღაც უფრო ჩემი სქესის გოგონა თხებისკენ გამირბოდა. ამ თვალთა ცეცებას, უკვე მოწიფულობის ასაკში არაერთი კოაბიტაციური კავშირი მოჰყვა თანაკლასელ გოგონებთან, რითაც საფუძველი ჩაეყარა ჩემს სულიერ და ხორციელ ლტოლვას ლგბტ-სადმი.

კოლეჯის დამთავრებისას შესანიშნავად გამოვიყურებოდი, რის გამოც მშობლების დაჟინებული თხოვნით მონაწილეობა მივიღე დუბაის კიწმარას სახელობის პლანეტარულ ფეშენ შოუში და მესამე ადგილი დავიკავე. პირველი და მეორე ადგილი საქართველოს წარმომადგენლებმა, თანაც პარლამენტის დეპუტატებმა, თინა და მარიამმა დაიკვეს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ეს წარმატება საქართველოს პრეზიდენტს 600 ცხვარი დაუჯდა.

საქართველოს არსებობა სწორედ ჩემი კონკურენტი გოგონებისგან შევიტყვე, რომლებიც რატომღაც მეტად ქედმაღლურად იქცეოდნენ,თითქოს ჩემზე უკეთესები იყვნენ რაიმეთი. მეეე ხომ მათგან განსხვავებით ორ სიკეთეს, რძესა და მატყლს მაინც ვიძლევი. ჩემს არქივში ინახება ფოტო, რომელზეც მეეე სოფიტელის სასტუმროში ვარ გადაღებული დაჯილდოებისას.

სამწუხაროდ ჩემი პოპულარობა ძვირად დამიჯდა მეც და ჩემს ოჯახსაც. ოპრა უვიმფრისთან მორიგი ინტერვიუს შემდეგ, მეეე ძალის გამოყენებით, სკუტერით გამიტაცა მამაკაცმა, ნარკომანმა, რომელიც სახელად ბალბესი, გვარად კი კოზიოლი აღმოჩნდა. კოზიოლმა მაღალმთიან ბორას უღრან ტყეში მიკრა თავი და იქ ვყავდი დატყვევებული. ჩემს მშობლებს მან 100.000 დოლარი, 100 ბოთლი არაყი და 100 ვობლა მოსთხოვა. მშობლებმა პირველი ორი იშოვეს, მესამე პოზიციაში კი გაიჭედნენ და ვიდრე რუსეთიდან ვობლას ჩამოიტანდნენ უსასრულოდ გრძელდებოდა ჩემი ტანჯვა. ჩემი გატაცების სურათი პოლიციის ვიდეოთვალმა დააფიქსირა.

ერთხელ, ნარკოტიკებით გაბრუებულ კაზიოლს თითქმის დავუსხლტი ხელიდან, მაგრამ მოგეხსენებათ „თითქმის“ არ ითვლება. გაქცევის მიზანი იყო, რომ იქაური მეტყევისთვის მეთხოვა დახმარება. და ჰოი, საოცრებავ, მივაღწიე რა მეტყევეს, გვარად რეინჯერ ბანდერას, ადგილზე აღმოვაჩინე, რომ თავად მას ცოლად თხა ჰყავდა მოყვანილი და ამდენად კოზიოლისადმი სოლიდარობის გრძნობიდან გამომდინარე, უარი განაცხადა ჩემს დახმარებაზე და უკან მიმგვარა თახსირ ნარკომანსა და ლოთს. განშორებისას, ბანდერამ მისი ოჯახის ეს სურათიც მაჩუქა იმის სურვილით, რომ კაზიოლს შევბერებოდი, გაქცევის გამო, ჩემი გამოსასყიდი თანხა მილიონამდე გაიზარდა.

პარალელურად მშობლებმა საქმეში ფედერალური საგამოძიებო ორგანოები ჩართეს, რომლებმაც თავის მხრივ, საქმის სირთულის გათვალისწინებით, მსოფლიოში წამყვანი საგამომძიებლო ორგანოს ხელმღვანელი ვანო-ჯონი ჩართეს. მისმა ჩართვამ ძიებაში დაუყოვნებელი შედეგი გამოიღო. ვანო—ჯონმა მიყურადებითა და მოსმენით დაადგინა, რომ კოზიოლს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ციხის ადმინისტრაციასთან, რომელსაც მრავალფუნქციური ცოცხებით ამარაგებდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სრული წესრიგისა და სიამტკბილობის უზრუნველსაყოფად.ამ ინფორმაციის საფუძველზე მან ბორას მთაზე, ცოცხების პლანტაციაში განახორციელა ჩემი ხსნის ოპერაცია.

მას შემდეგ რაც ფედერალური ძალების მეშვეობით მოხდა ჩემი განთავისუფლება და კოზიოლის დატუსაღება, ვიფიქრე რომ მეშველა და სამართალმა თივა ჭამა. მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, გამოძიებამ ბრალი მეეე დამდო კაზიოლის შეცდენაში, რაც აიდაჰოს შტატის კანონმდებლობით სიკვდილითაც კი ისჯება. ჩემს დაკითხვებში ერთბაშად სამი-ოთხი გამომძიებელი მონაწილეობდა. ისინი მთლიანად ემორჩილებოდნენ ვანო—ჯონის მითითებებს. დაკითხვები წარმოუდგენელი, ყოველმხრივი ზეწოლის პირობებში მიმდინარეობდა. მეეე დაბმულს მკითხავდნენ. სრულიად გამოუვალმა მდგომარეობამ მაიძულა უკანასკნელი ძალა მომეკრიბა და ქალური ინტუიციის კარნახით ჩემი შარმი გამომეყენებინა. მიზანში გამომძიებელთაგან ერთ-ერთი, კლუნსონი ავირჩიე და, როგორც იტყვიან, შევაბი კიდეც. ამ ფენომენს, შემდეგ რატომღაც სტოკჰოლმის სინდრომი უწოდეს, როდესაც თავად ფაქტს ჩემთან მიმართებში ნამდვილად მხოლოდ აიდაჰოში ჰქონდა ადგილი.

ერთხელ დაკითხვისას კლუნსონმა სიყვარული ამიხსნა, რაც ბუნებრივია, მეც ავიტაცე ხსნის იმედით და თან გრძნობის გაზიარების გამო. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს პროცესუალური შეხვედრაც ფარულად იწერებოდა და ჩვენი ურთიერთლტოლვაც მალე გამჟღავნდა.

კლუნსონი ჯონ-ვანოსგან მაგრად გაიძუყნა და ჩაჩუხანდა, რაც ნათლად ჩანს არსებულ სურათებზე. მას აიძულებდნენ, საერთოდ უარი განეცხადებინა თხათა ხსენებაზე, რასაც იგი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა და ჩემზე დადარდიანებული ნებისმიერ, ქუჩის თხასაც გულში იკრავდა, ვიდრე მე ციხეში ვიტანჯებოდი.

საბოლოო ჯამში ბაბუაჩემმა, ზედმეტ სახელად ბოცომ, მთელი ჩვენი ქონება საპროცესო შეთანხმებით გადაუფორმა ვანო-ჯონს. შეთანხმებათა ამ პროცესში შუამავლად ჩართული იყო ვანო-ჯონის მეგობარი ქალი ინგლისიდან, სახელად სუსანა (იხ. სურათი), რომელმაც თავის წილად მარგალიტები წარტაცა ბაბუაჩემს, მეეე კი ნანატრი თავისუფლება მომყიდა.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, მეეე და კლუნსონი კი კვლავაც ერთად ვართ და ქვეყნიდან ქვეყანაში დავეხეტებით, ვინაიდან არც ერთ მათგანში ქორწინების უფლებას არ გვაძლევენ. იგივე პრობლემები აქვს ჩვენს სულიერ მეგობარს კარლო ლაგერფერდსაც, რომელსაც ვერაფრით მოუყვანია ცოლად მისი კატა ჩუპეტა. საქართველოში ამ უფლების მინიჭების სანაცვლოდ იგი მზადაა საქართველოს ნომერ პირველ ბიზნესმენ ლაჭავასთან ერთად, რომელმაც მილიონები დააწერა ბ-ნ ნ. ჯავახიშვილის მიერ მართულ ბანკს, სამკერვალო ცეხი გახსნას ბლიყვირში.

მსოფლიო სათხეთი უდიდესი ყურადღებით, იმედის თვალით შემოსცქერის „თანადგომის“ საქმიანობას მიმართულს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დახვეწაზე, რაც ქართველ ჟურნალისტთა ნაწილის და საპარლამენტო უმცირესობის ძალისხმევით უეჭველად წარმატებით დასრულდება და ჩვენც მილიონობით უფლებააყრილებს დაგვიბრუნდება ჩვენი ბუნებით უფლებათა დაკანონების საშუალება, რათა შემდგომ სოდომისა და გომორის ღირსეული მოქალაქეები გავხდეთ.

ჩვენს ოპტიმიზმს ისიც განამტკიცებს, რომ პირანუსელებმა პრეზიდენტობის მათ კანდიდატად 21-ე საუკუნის ტიტანი, ახალი ალექსანდრე მაკედონელი, სიმპატიურობით ჩემ ბოიფრენდ კლუნსონის ასლი, ბ-ნი მალაშხია წარმოადგინეს, რომელიც უეჭველად გაპრეზიდენტდება.

სულ მალე საქართველო, როგორც მისი პირანუსელი ყოჩი იძახის გამუდმებით — მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდება, სადაც ლგბტ-სთან ერთად, ზოოფილისტებისთვისაც გაჩნდება საარსებო სივრცე და ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას კიდევ ერთი სტიმული შეემატება და ეშველება ქართველ ვირებს, ძროხებს, თხებს და სხვა წვრილფეხებს და მსხვილფეხებს.წარმოუდგენლად იმატებს ტვინნალრძობ ტურისტთა ნაკადი.იბიცა აღარ იარსებებს,მონაკო ნანგრევებად იქცევა, ნიცა რუკებიდან ამოიშლება და იქნება მხოლოდ ანაკლია.

საქართველოს კი მოკლე გზა გაეხსნება საოცნებო საერთაშორისო სტრუქტურებისკენ, რომელთა წევრ ქვეყნებში ონკანიდან მუქთა თაფლი და რძე მოედინება, ციდან კი მანა ცვივა.

უსასრულოა თხათა დუმილი და მოლოდინი.

— ჩემი ამჟამინდელი მისამართია: 243 Alabama street, San Francisco CA 94 103 Animal Assisted Therapy.Tel 1 969 696 969 69.

**ბესარიონ კერესელიძე**

**P.S. ამასთან, გიგზავნით საჩუქრად ვიდეოკლიპების ნაკრებს, ჩემდამი მოძღვნილს. ფილმი ტარანტინოს მიერაა გადაღებული, რომლის პროდიუსერმაც უზრუნველყო ამ მომართვის საქართველოში გამოგზავნა. ძმა კვენტინი ამ ფილმით ცდილობს მსოფლიოს ჩემი პრობლემები ამცნოს.** http://www.youtube.com/watch?v=igHaMOX_paM”

**◉ კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები

● გიხაროდენ!

ვინც კი მკვლელი და მოძალადე, ბანდიტი და ქურდი, ნაძირალა და არამზადა, თაღლითი და გაიძვერა, ძაღლი და მამაძაღლი გვეგონა, ყველა „თეთრი საყელო“, ანუ ლამის საპატიო(ებელი) აღმოჩნდა.

მალე მალაშხიას (ჯანდაბას, ბაქრაძე იყოს) ავირჩევთ პრეზიდენტად, მერე სანდომიანი და მოხდენილი ნავარო გამოგვკითხავს, ვაჩუქებთ ერთმანეთს ტიტებს და ყველაფერი კარგად იქნება. ვინძლო აპატურაიმაც შეგვაქოს და „მაპი“ გადმოგვიგდოს.

გიხაროდენ-მეთქი, ფარჩაკებო!!!

● ერთი საპრეზიდენტო კანდიდატიც და გავდივართ. მარტო რიკოთზე გავაჩერებ.

● უმცირესობის წარმომადგენლები პარლამენტში აღლუმს ატარებენ (უი, წინ სიტყვა „საპარლამენტო“ უნდა დამეწერა, მარა პრინციპში რა მნიშვნელობა აქვს?





● ციკლი თუ გადაუცდა ქუთაისის მერს, ე.ი. დარჩა“.

● დანიშნული დეპუტატების სამარცხვინო ეპოქა უნდა დასრულდეს...

დამოუკიდებელ საქართველოში ვირჩევთ არა ძლიერ პოლიტიკოსთა პარლამენტს, არამედ ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით შერჩეულ პარლამენტს...

ზვიად გამსახურდიას ნდობის გამო აირჩიეს მისი ბლოკის დეპუტატთა 90 პოცენტი...

შევარდნაძის გამო,შემდეგ სააკაშვილის და ბოლოს ივანიშვილის გამოა არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომ პარლამენტთა წევრები...

ეს კატასტროფაა...

● თუ განაცებს 10% აქვთ რეიტინგი, პირბადრი დათოს რეიტინგი სად გამოიკვლია NDI-მ, ოჯახში თუ ბაქრაძეებში?

● ვანუატუში ბავშვის მომვლელი არ უნდათ? პროსტა ახლობელს ჭირდება დასაქმება.

● NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დღეს დედაქალაქში 2 გრადუსია ნულს ქვემოთ!

● როსტომხანისა და ბოლშევიკების ერა მოგვიტანა კოჰაბიტაციამ. მღვდლებს ასამართლებს დემოკრატიული საქართველო...

● ვიდეოკადრების რაოდენობა იმატებს!

ესე იგი რა ცნობისმოყვარე ეროვნება ვართ, არა? ცნობისმოყვარე და ჭორიკანა.

არაფერი არ უნდა გამოგვეპაროს ერთმანეთის.

უკვე იმდენი ფირია აღმოჩენილი, რომ ვშიშობ, მეც არ ვიყო გადაღებული იმ მომენტში, როცა 2009 წლის 15 მაისს, 17 ს-სა და 35 წუთზე მეზობლის ქალს თვალს რომ ვაყოლებდი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ვაღიარებ ჩემს შეცდომას და დავსძენ, რომ მეზობლის უკანალს კი არ ვათვალიერებდი, არამედ მის ქვედატანზე ზმეიკის უზორი მომეწონა და იმას გავაყოლე თვალი.

● არ მწამს მე იმ დეპუტატის, ვინც რჩეულიშვილს ჩაუდგა თავდებში. იმიტომ არ მწამს, რომ ეს ადამიანები ნებისმიერ საკითხში, სიმართლეზე და ქვეყანაზე ზევით თავის პირადულს ამჯობინებენ ყოველთვის.

აი, ეს ნაგავი რომ ჰყავდა ჩარეცხილი ნაცმოს... ცუდი ნამდვილად არ იყო...

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

# სნოუდენთან დაკავშირებული აჟიოტაჟი გრძელდება

**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ 12 ივლისი თანამედროვე ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ მძიმე მოსაგონარ დღედ იქცევა. ჯერ იყო და სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ნიკოლას ბერნსმა, დიდი ქვეყნის წარმომადგენლის შესაფერისად, საყვედური უთხრა ჩინელ კოლეგას სნოუდენის არ გადაცემისთვის, შემდეგ კი იყო — მითად ქცეული ამერიკელის მიერ, რუსეთის ადამიანის უფლებათა დამცველების მიპატიჟება შერემეტიევოს აეროპორტის ნეიტრალურ ზონაში.**

ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ლამის მთელი დღის განმავლობაში რუსეთის ყველა ტელეარხის (და არა მარტო რუსეთის) მთავარ თემად იქცა. ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია (სნოუდენიდან გამომდინარე) ჩინეთთან მიმართებაში დაახლოებით ასე ჟღერდა - ჩვენ იმედი გვქონდა ჩინეთთან ურთიერთობის განვითარების, რასაც მომავალშიც გავაგრძელებთ, მაგრამ სნოუდენის ამბავმა შეიძლება გარკვეული კორექტირება შეიტანოს ამ საქმეში.

ბერნსის ჩინელი კოლეგის განცხადება იყო მოკლე და შეუვალი — ჩინეთი მოქმედებდა კანონებით, რომლებიც არ ითვალისწინებს სნოუდენის ამერიკისთვის გადაცემას.

ობამას ადმინისტრაციის გაღიზიანება აშკარად ჩანდა „შერემეტიევოს შეხვედრის“ შემდეგ, განსაკუთრებით იმ საკითხში, რომელიც ჯაშუშად მონათლული ამერიკელისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა გააკრიტიკა რუსეთი — სნოუდენს პროპაგანდისთვის იყენებსო.

მკითხველმა იცის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა უარი თქვა სნოუდენის ექსტრადიციაზე, მაგრამ ისიც დაამატა, რომ მისცემს რუსეთი სნოუდენს იმ შემთხვევაში პოლიტიკურ თავშესაფარს, თუ ანტიამერიკულ მოქმედებას შეწყვეტს.

მკითხველმა ისიც იცის, რომ სნოუდენს, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას, ლათინური ამერიკის ქვეყნები: ვენესუელა, ბოლივია და ნიკარაგუა შეჰპირდნენ, მაგრამ ამ ქვეყნებამდე მიღწევა, უპასპორტოდ დარჩენილი სნოუდენისთვის (აშშ-მა გააუქმა სნოუდენის პასპორტი) შეუძლებელია. გარდა ამისა, არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები სნოუდენის თვითმფრინავს არ დასვამენ ძალით, სხვაგან.

ეს მეთოდი უკვე გამოიყენეს ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრინავთან დაკავშირებით - ძალით დასვეს რა მოსკოვიდან სამშობლოში მიმავალი მორალესი ვენის აეროპორტში. აშშ-ის სპეცსამსახცურებს ეგონათ, რომ მორალესის თვითმფრინავში სნოუდენი იმყოფებოდა.

ამ ამბავმა დიდი გულისწყრომა გამოიწვია ლათინურ ამერიკაში. 12 ქვეყნის მეთაური და მაღალი წარმომადგენელი, მეორე დღესვე, შეიკრიბა ბოლივიაში საპროტესტო აქციაზე და გაეროს მიმართა, მართლაცდა აღმაშფოთებელი საქციელის დაგმობისთვის. არადა, აშშ-ის პრეზიდენტი, ობამა აფრიკაში ვიზიტის დროს აცხადებდა, რომ ის არ აპირებს 29 წლის ჰაკერის დასაჭერად თვითმფრინავის დასმას.

განვითარებულმა მოვლენებმა სნოუდენს არავითარი გზა არ დაუტოვა, გარდა ერთისა — რუსეთის ხელისუფლებისთვის პოლიტიკური თავშესაფარი ეთხოვა — პუტინის წინადადების გათვალისწინებით.

**ობამას ადმინისტრაციის გაღიზიანება აშკარად ჩანდა „შერემეტიევოს შეხვედრის“ შემდეგ, განსაკუთრებით იმ საკითხში, რომელიც ჯაშუშად მონათლული ამერიკელისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა გააკრიტიკა რუსეთი – სნოუდენს პროპაგანდისთვის იყენებსო.**

პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას არანაკლებ ორი კვირა დასჭირდება. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებას, პირადად პუტინს, ამერიკელთა სერიოზული შეტევის გადატანა მოუწევს, რაც არც თუ იოლი იქნება. უპირველესად იმიტომ, რომ პუტინი რუსეთის პრეზიდენტია, ანუ ქვეყნის, რომელიც არა პარტნიორი (როგორც პუტინმა თქვა), არამედ აშშ-ის მეტოქე ქვეყანაა.

სწორედ, პუტინის დროს შეძლო დაჩოქილმა რუსეთმა ფეხზე წამოდგომა. სწორედ, პუტინის პრეზიდენტობისას მოხდა რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური წინსვლა, რუსეთის შეიარაღებული ძალების განმტკიცება. სწორედ, პუტინის დროს, რუსეთმა შეძლო საერთაშორისო არენაზე მისთვის შესაფერისი ავტორიტეტის მოპოვება. დღეს, რუსეთს ეკითხებიან, რაც კარგად გამოჩნდა ლოხ-ერნის, „დიდი რვიანის“, შეხვედრის დროს სირიის საკითხთან დაკავშირებით.

ასეთი რუსეთი აშშ-ის სერიოზული მეტოქეა. ასეთი რუსეთი არ დააქნევინებს სასაყვედურო თითს არც ამერიკას და არც სხვას. რუსეთი არ არის „ბანანის“ რესპუბლიკა, რომ ვაშინგტონის ბრძანებით სნოუდენი გადასცეს მას. ამას მხოლოდ „ბანანის რესპუბლიკები“ აკეთებენ — ბრძანა ცნობილმა რუსმა ექსპერტმა, ამჟერად აშშ-ში მომუშავე ანდრანიკ მიგრანიანმა. მან ეს ეპითეტი, წინათ რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების დასახასიათებლად იყენებდნენ, ევროპის ქვეყნებისთვის გამოიყენა.




მან მოსწრებულად ახსენა მეორე ტერმინი „ფინლანდიზაცია“, რომელიც ერთობ პოპულარული ტერმინი იყო საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც ფინეთზე გავლენა საგრძნობი იყო. „ფინლანდიზაციის“ მსგავსი ვითარებაა შექმნილი ამერიკასა და ევროპას შორის — ბრძანა მან.

მართლაც, რა შეიძლება ვუწოდოთ ევროკავშირის დღევანდელ პოლიტიკას, თუ არა დედლური მოქმედება?

როგორც ჩანს ევროპის ლიდერთაგან ყველაზე მამალი დედალი მერკელია, რომელმაც მოურიდებლად დაურღვია პრეზიდენტ ობამას აფრიკული განწყობა და აფრიკაში ვიზიტის დროს სატელეფონო (ალბათ იმასაც უსმენდნენ) საყვედური უთხრა სნოუდენის მიერ გამოვლენილ მოსმენებთან დაკავშირებით.

„კანცლერმა თეთრი სახლის ბინადრის ყურამდე მიიტანა ცნობა იმის შესახებ, რომ ევროპა აღშფოთებულია აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, ჯაშუშური მოქმედების განხორციელების გამო, მოკავშირე ევროპის ქვეყნების მიმართ“, — ასე იტყობინებოდა კანცლერის კანცელარია.

ობამამ განაცხადა, რომ მზად არის, ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის მხარემ მოლაპარაკება გამართოს როგორც გერმანიასთან, ისე ევროკავშირის სპეცდელეგაციასთან.

ის, რომ აშშ ყველას და ყველაფერს უსმენს — არახალია. აღნიშნულის შესახებ ბევრმა ამერიკელმა საჯაროდ განაცხადა, ხოლო ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა გორმა წიგნიც მიუძღვნა ამ თემას. მაგრამ ერთია, როდესაც იცი, რომ რაღაც ტრიალებს შენს თავს და მეორეა, როდესაც ამის შესახებ გეუბნება თვით სპეცსამსახურის თანამშრომელი სნოუდენი. სხვათა შორის შერემეტიევოს“შეხვედრაზე მან რუს ადამიანის უფლებათა დამცველებს გულახდილად უთხრა, რომ „თქვენც გისმენდითო“.

აშშ-მა არავინ დაინდო, არც შინაური, არც გარეული და ელექტრონული ქუდი ჩამოაფხატა მთელ მსოფლიოს, ნებისმიერ ადამიანს — „დაიცვა“ რა ამ ქმედებით „ადამიანის უფლებები“, ესეც თქვენი „დემოკრატი“ ამერიკა.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია აშშ-ის ფოსტის ტოტალური კონტროლის შესახებ. გასულ წელს აშშ-ის სპეცსამსახურმა 160 მილიარდი წერილის ფოტოგრაფირება მოახდინეს.

აშშ-ის სპეცსამსახურების სიბინძურეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ჯობს თანამდროვე „ფინლანდიზაციას“ დავუბრუნდეთ. ამერიკის ქმედებით აღშფოთებული ევროპა, ნაცვლად იმისა, რომ „აღშფოთება“ ცოტა ხნით მაინც გაეჭიანურებინა, პირიქით მოიქცა და ბოლივიის პრეზიდენტ მორალესს არ მისცა საშუალება, საწვავის შევსებისთვის დაფრენილიყო საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში. მან ულტიმატუმით მიმართა მორალესს - საწვავს მოგცემთ თვითმფრინავის გაჩხრეკის სანაცვლოდო.

**რომ არ გაგაწევრონ, ხან 17 მაისს შეგახსენებენ, ხან ვანიჩკას დააპატიმრებას, ხან კიდევ რას. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას სჯერა, რაც „ენამოსწრებულად“ აღნიშნა ევროპასთან „ჩახუტების“ მინისტრმა პეტრიაშვილმა ბათუმის კონფერენციაზე – „ მთელს საქართველოს სურს ევროკავშირში შესვლა, მაგრამ არიან ისეთები, ვისაც არ სჯერათო. იმ ანეკდოტისა არ იყოს – ვისაც გვჯერა– გაგვატარეთო“.**

აღნიშნული ქვეყნები, ისე როგორც მთელი ევროკავშირი, ამერიკელი პარტნიორივით ხმალამოღებული იბრძვის პედერასტთა უფლებების დასაცავად და ამ დროს ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრინავს აიძულებს ვენაში დაჯდომას, რაც დანაშაულია.

დავუშვათ, გაჩხრეკვის დროს აღმოეჩინათ სნოუდენი — რას მოიმოქმედებდნენ? უყოყმანოდ გადასცემდნენ აშშ-ს, სადაც მას სიკვდილით დასჯიდნენ. ვაშა ევროკავშირს!

ამის შემხედვარე, როგორ დავიჯერო, რომ ევროკომისარ შტეფან ფულეს — კიშინიოვის გეი-პარადის მედროშეს, უყვარს ადამიანის უფლების, მათ შორის პედერასტების დაცვა? როგორ დავიჯერო, რომ მის ბათუმში ნათქვამს წყალი არ გაუვა?

ევროკავშირის აღმოსავლეთის ქვეყნებთან პარტნიორობაში რომ პოლიტიკური მიზნები არ მოჩანდეს, კიდევ არა უშავს, მაგრამ მთავარი, ბრიუსელის პოლიტიკაში ისაა, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირში გაწევრებით მოხიბლოს — სამომავლოდ, არა დღეს, ხვალ ან ზეგ, ოდესმე.

სანატრელი ოცნების ასრულებისთვის ამ ქვეყნებმა ირიბადაც არ უნდა გაიხედონ რუსეთისკენ, მით უმეტეს არ უნდა შევიდნენ ერთიან საბაჟო სისტემაში. მოგცემენ ასოცირებული წევრობის სტატუსს და იქნები ასე, მრავალი ათეული წელი — თურქეთივით.

რომ არ გაგაწევრონ, ხან 17 მაისს შეგახსენებენ, ხან ვანიჩკას დაპატიმრებას, ხან კიდევ რას. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას სჯერა, რაც „ენამოსწრებულად“ აღნიშნა ევროპასთან „ჩახუტების“ მინისტრმა პეტრიაშვილმა ბათუმის კონფერენციაზე — „ მთელს საქართველოს სურს ევროკავშირში შესვლა, მაგრამ არიან ისეთები, ვისაც არ სჯერათო. იმ ანეკდოტისა არ იყოს — ვისაც გვჯერა— გაგვატარეთო“.

ასეთი, შეიყვანს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს — აპა არა? არადა პოლიტიკური თვალსაზრისით, წვერიანი ანეკდოტის გამოყენება სრულიად უადგილო იყო. ანეკდოტი კი ასეთია - „ლენინის მავზოლეუმთან გრძელ რიგში მდგომი თავში ხელს იცემს — არ მჯერა ლენინის სიკვდილიო, რითაც აყოვნებს რიგს. უკან მდგომი კი ეუბნება — ჩვენ გვჯერა და გაგვატარეთ განსვენებულის სანახავადო“.

ანეკდოტის შინაარსიდან გამომდინარე პეტრიაშვილი და მისი „კამანდა“ მკვდარი ლენინის, ანუ ევროკავშირის ნახვას ისწრაფვიან, თან იმასაც ამბობენ, ყველაფერი ხალხმა გადაწყვიტაო.

როდესაც ხალხის ხარჯზე საკუთარ პრობლემებს წყვეტდა და წყვეტს ძველ-ახალი ხელისუფლება, ხალხს არავინ ახსენებს. ხალხს ახსენებენ მაშინ, როდესაც საკუთარი პოლიტიკის გატარება სურთ — აქაოდა ხალხმა გადაწყვიტაო.

როდის გადაწყვიტა ხალხმა, ბატონო ალექსი! 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს? ხელისუფლებამ ხელოვნურად რომ მიატმასნა ნატოს საკითხი არჩევნებს? თქვენ და თქვენი კოლეგა პოლიტიკოსები არ გაჰყვიროდით — არჩევნები გაყალბდაო? და თუ გაყალბდა, ნატოში შესვლის საკითხი როგორღა გადაურჩა გაყალბებას?

სინამდვილის დასადგენად ახალი რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო და რატომ აჭიანურებთ? შედეგის გეშინიათ? ის, ვისაც არ სურს ნატო და ევროკავშირი თითზე ჩამოსათვლელი არ არის — მრავლობითია. და მათი აზრიც გასათვალისწინებელია. ეს, ისე, ცნობისთვის.

ამას გარდა მაქვს კითხვა — საქართველო, რომ ევროკავშირში ყოფილიყო და სნოუდენი თბილისის აეროპორტში გამოჩენილიყო, რას მოიმოქმედებდა თქვენი ხელისუფლება? პასუხითაც არ შეგაწუხებთ, ვინაიდან ვიცი ხელისუფლების გაქანება — ჩამოსულს უმალ გადასცემდით ამერიკელ ბატონს, რითაც წერტილს დაუსვამდით მის სიცოცხლეს, თან იმასაც იტყოდით — სამოკავშირო ხელშეკრულების შესრულება ჩვენთვის სავალდებულოაო.

დაახლოებით, თუ ზუსტად არა, ასეთი იყო თქვენი მთავრობის განმარტება ირანთან, 2008 წელს, დადებული უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გამოსვლის და ირანისთვის საბანკო ანგარიშების გაყინვის დროს — ჩვენ გაეროს წევრები ვართ და უშიშროების საბჭოს მოთხოვნებს ვასრულებთო.

მაგრამ გაეროს წევრი 193-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის ისრაელი სისტემატურად რომ არ ასრულებს უშიშროების საბჭოს მოთხოვნებს, რაღა თქვენ (ხელისუფლება) გახდით მუყაითი შემსრულებელი? იქნებ აქ სხვასთან გვაქვს საქმე? გამიგებთ ალბათ. პასუხს ახლა არ გთხოვთ, როდესაც შორს იქნებით საჯარო სამსახურიდან, მაშინ შეგაწუხებთ.

დასასრულს კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რუსეთი არ არის „ბანანის“ ქვეყნებად ქცეული ევროპის მსგავსი ქვეყანა. მას თავისი სიტყვა აქვს, ისევე, როგორც ჩინეთს და ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

⦿ გამოსააშკარავებელია!

# სააკაშვილის მზაკვრული ჩანაფიქრი



**ამას წინათ სააკაშვილი გამოვიდა ტელევიზიით და ვითომ ძალიან შეშფოთებულმა (სინამდვილეში ცალყბად აღტკინებულმა და გახარებულმა) საქართველოს მოსახლეობას აუწყა ეკონომიკის ზრდის ტემპების შეჩერება. მისი მიზანი ნათელია — მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალებმა“ საკმაო ოდენობის ხმა მიიღონ, რათა კვლავ იბოგინონ პოლიტიკური სარბიელზე.**

ბუნებრივი იქნებოდა, თუ ისინი ნებაყოფლობით უარს იტყოდნენ ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობაზე, მაგრამ ამერიკელების, ევროპელებისა და ნატოს მხარდაჭერის იმედით კვლავ ჩაებნენ საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად.

ნატოს შესახებ მრავალჯერ დამიწერია და ერთი და იგივეს განმეორებით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებ. თუმცა, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა რასმუსენის საჯარო გამოსვლამ. მთავარი ის კი არაა, რომ მან უკვე გამოააშკარავა ამერიკელებისა და ევროპელების სათავისო გულისნადები, არამედ ისეთ ხალხად მიგვიჩნია, რომ ჩვენთან მიმდინარე პროცესებს, ვითარცა მიუხვედრელი ერი, ვერ აღვიქვამთ და ვაანალიზებთ და აქეთ დაგვიწყო ჭკუის სწავლება. იმის მაგიერ, რომ 17 მაისს აქციის მშვიდობიანად დაშოშმინებაში ხელისუფლებისთვის მადლობა გადაეხადა, დაამუნათა, — თუ ასე განაგრძეთ, ნატოში არ მიგიღებთო.

ბევრი ალბათ სათანადოდ ვერ აცნობიერებს, რომ შარშან ოქტომბერში გავიმარჯვეთ ერის მოძულე საააკისტებზე, რომლებსაც თავგამოდებით მხარს უჭერდნენ ამიერიკელი და ევროპელი პატრონები. თუ ამჟამადაც ერთად დავდგებით, სააკაშვილის რეჟიმს დროულად ამოვძირკვავთ, მიუხედავად იმისა, ვინ დადგება მათ მხარეზე.

ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები ისე გულუბრყვილონი არ არიან, როგორც შეიძლება მოგვაჩვენოს. მათაც გარკვეული წარმოდგენა აქვთ ჩვენთან მიმდინარე პროცესებზე. ალბათ ისინი ასე ფიქრობენ: „მართალია, უახლოეს დროში სააკაშილის მომხრეების დაბრუნება ხელისუფლებაში წარმოუდგენელია, მაგრამ რაც უნდა დაგვიჯდეს ჩვენს ერთგულ მარიონეტებს ოპოზიციაში ადგილის დასამკვიდრებლად უნდა დავეხმაროთ. შემდგომში განვახორციელებთ ეკონომიკურ ზემოქმედებას და არსებული ხელისუფლება იძულებული გახდება, მმართველობა კვლავ მათ დაუბრუნონ“.

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ასეთი რამ რომ განაცხადოს: „თუ შინაურ საქმეებში ჩარევას კვლავ განაგრძობთ, იძულებული გავხდებით თქვენთან მეგობრულ ურთიერთობაზე (ნატო ხომ ქიმერაა) უარი ვთქვათ“. მერწმუნეთ, აშშ ყოველგვარ დათმობაზე წავა და უმალვე შეწყვეტენ „ნაციონალებისადმი“ მხარდაჭერას.

* * *

**ჯერჯერობით არავის დასცდენია, თუ რის წყალობით ავსებდნენ ეგრეთ წოდებული ნაციონალები ბიუჯეტს.** — სტრატეგიული ობიექტების გასხვისებით, მიწების, ტყეების გაყიდვით, ბიზნესმენების დაყაჩაღებით. თუ ჩვენ ქართული მიწებისა და ეროვნული სიმდიდრეების გაყიდვას ადრინდელი ტემპით განვაგრძობთ, მინიმუმ ათი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი ვიქნებით, მაგრამ ჩვენს სამშობლოს ფაქტობრივად უცხოელები დაეუფლებიან.

* * *

**აშკარაა სააკაშვილმა თბილისიდან პარლამენტი ქუთაისში გარეშე არაკეთილმოსურნეთა დავალებით გადაიტანა.** როგორც ცნობილია, 1918 წელს ულტიმატუმს — თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანის მოთხოვნით — სერიოზული ომი მოჰყვა. ბუნებრივია, ქართველი ხალხი პარლამენტს კვლავ თბილისში დააბრუნებს. ამით შეშფოთებული ზემოხსენებული გარეშე ძალები სააკაშვილს კვლავ აქეზებენ — ყველა ღონე იხმაროს, რათა პარლამენტი თბილისში არ დაბრუნდეს. ამიტომ იყო, რომ სააკაშვილმა ეკონომიკის ტემპების შეჩერების ერთ—ერთ მიზეზად შემოგვაპარა ქუთაისიდან თბილისში პარლამენტის დაბრუნება. პირიქით კი მოხდა — ქუთაისში პარლამენტის გადატანამ ქვეყანას დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა.

ნუთუ ქართველი ხალხი ჯეროვნად ვერ აცნობიერებს სააკაშვილის მზაკვრულ, ანტიქართულ ქმედებებს და გამონათქვამებს?!

* * *

**დღეს მსოფლიოში მრავალი კომპანია, ბიზნესი და სახელმწიფოა, რომელთაც ძალუძთ უმოკლეს დროში ქალაქები ააშენონ.** მთავარია, მათ გამოეყოთ სამოქმედო ტერიტორია. ლაზიკასაც ააშენებენ და კიდევ უფრო დიდ ქალაქებსაც, მაგრამ საკითხავია, ამ ქალაქებს რა ხალხი შეავსებს — ქართველები თუ უცხოელები? ასე რომ სააკაშვილის გეგმა ლაზიკის დაარსების თაობაზე უცილობლად ანტიქართული განზრახვაა.

* * *

**ერთ გარემოებაზეც უნდა გავამახვილო ყურადღება: ირანული ფირმები საქართველოში სააკაშვილის მეშვეობით დაფუძნდა.** ამაზე ამერიკელები თვალს ხუჭავდნენ. ამჟამად რაკი დარწმუნდნენ სააკაშვილი და მისი თანამოსაქმეები, მალე დატოვებენ ხელისუფლებას, ამერიკელებმა უმალვე განაცხადეს: საქართველო ირანის წინააღმდეგ მიღებულ სანქციებს არღვევსო. ყველაფერი ნათელია — დასავლეთი შეშფოთებულია თავისი ყურმოჭრილი მარიონეტების დამარცხებით.

ნუთუ ქართველ ინტელექტუალებს (პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებს, ისტორიკოსებს, ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს და სხვა დარგის სპეციალისტებს), არ აღაშფოთებთ ის გარემოება, რომ ეს ვიწრო ჰორიზონტის არსება (სააკაშვილი), რომლის არსში, ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ დაწყებულა გაადამიანების პროცესი, ასე უმოწყალოდ, გამუდმებით ცდილობს ქართველი ხალხის გაბიაბრუებას, გასულელებას.

სააკაშვილის მზაკვრულ, ანტიქართულ ქმედებას უნდა დავუპირისპიროთ ეგრეთ წოდებული ნაციონალების პრეზიდენტობის კანდიდატისადმი საყოველთაო ბოიკოტი, რაც გამოიხატება მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით. ამ კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პრესამ და სამაუწყებლო საშუალებებმა. ეს იქნება საპასუხო ქმედება სისტემური დანაშაულის საწინააღმდეგოდ, რაც ბუნებრივად, ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობის გაუქმებასაც (აკრძალვას) გამოიწვევს.

**ვაჟა ჟღენტი,**
**საბჭოური პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე.**

⦿ სასამართლოს წინ

# ასეთი რა არის ეს ევროპა, რომ ორი ბრალდებული სასულიერო პირის თავდებობა გვესირცხვილება?

**ბრალდებულნი არიან სასულიერო პირები — სამების ტაძრის არქიმანდრიტი, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილი და იოანეთორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენი, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაია, ასევე, ბექა სალუქვაძე, ტიტან დავრიშიანი, გიორგი ბასიაშვილი. მათ ბრალი 23 მაისს წაუყენეს 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის, ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას — ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მუხლი, რომლითაც სასულიერო პირებს წაუყენეს ბრალი, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. პროკურატურამ მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება არ მოითხოვა.**

15 ივლისს, სასამართლო სხდომა 23 ივლისისთვის გადაიდო იმის გამო, რომ ერთ-ერთი ბრალდებული დაკავებულია სხვა საქმეზე და ის სასამართლო სხდომაზე მიწვეული არ ყოფილა, შესაბამისად, მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება, საქმე უმისოდ განეხილა. გარდა ამისა, ადვოკატებმა საქმის გასაცნობად გონივრული ვადა მოითხოვეს.

მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილის ადვოკატი ბესარიონ ქარცივაძე ფიქრობს, რომ ბიჩინაშვილისთვის წაყენებული ბრალი არასწორი და არასამართლიანია, ასევე, დარღვეულია ბევრი საპროცესო ნორმა, რომელიც საქმეზე არსებული მტკიცებულებების წარმოდგენისას უნდა ყოფილიყო დაცული. **„არ ბილწსიტყვაობს მამა ანთიმოზი. არანაირი ექსპერტიზა არ არსებობს, რომ მისი ხმა და მოქმედება ერთი იდენტობისაა“,** — განაცხადა ბესარიონ ქარცივაძემ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, მისივე განცხადებით, გამოძიების მიერ „რუსთავი 2“-ისგან გამოთხოვილი ვიდეოფირები დამონტაჟებულია და, შესაბამისად, სადავო მტკიცებულებაა, რომლის დაუშვებლობის შუამდგომლობას ის 23 ივლისის სასამართლო სხდომაზე დააყენებს.

**„ერთი რამ მაინტერესებს, ფარული კამერით რომ მომდევს, ან ტელეფონით, ის გინება რომ ისმის და შემდეგ ეს მასალა რომ დაიდო ინტერნეტში და შემდეგ საღამოს ორმა ჟურნალისტმა ქალბატონმა თავისი სტუმრებითურთ უმოწყალოდ რომ გადამიარა, ჩემი უფლებები არ დაირღვა იმ დღეს? მივმართავ სახალხო დამცველს და უფლებადამცველ ორგანიზაციებს, მაინტერესებს, ჩემი უფლებები დაირღვა თუ არა“,** — განაცხადა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ სასულიერო პირმა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილმა.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მასშტაბით გამოკითხული ადამიანების 79 პროცენტი 17 მაისს თბილისში ანტიჰომოფობიური აქციის ჩატარების გადაწყვეტილებას არ ამართლებს. კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტი აცხადებს, რომ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს ანტიდისკრიმინაციული აქციის ჩატარება გამართლებული იყო, ხოლო 9 პროცენტს ამ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია.

ამასთან, როგორც NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ ჟურნალისტებს განუცხადა, გამოკითხულთა 52 პროცენტი ამართლებს 17 მაისს გამართულ კონტრაქციას, რომელიც თბილისში ანტიჰომოფობიური ღონისძიების ჩატარებას ეწინააღმდეგებოდა. ზემოხსენებული კონტრაქციის მოწყობას 33 პროცენტი არ ამართლებს, ხოლო 12 პროცენტს ამ საკითხზე პოზიცია არ აქვს.

**17 მაისს კონტრაქციის მონაწილეთა ნაწილმა ბარიკადები გაარღვია. გამოკითხულთა მხოლოდ 30 პროცენტი ამართლებს კონტრაქციის მონაწილეების ამ ქმედებას, 46 პროცენტი არ ამართლებს, 19-მა პროცენტმა არ იცის, გაამართლოს თუ არა ეს მოქმედება, ხოლო დარჩენილმა ხუთმა პროცენტმა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა.**

**გამოკითხულთა 49 პროცენტი არ ამართლებს იმ კონტრდემონსტრანტთა საქციელს, რომლის შედეგადაც პოლიციის თანამშრომლებს, აქციის მონაწილეებსა და კერძო საკუთრებას ზიანი მიადგა. სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერების წინააღმდეგ განხორციელებული ეს ქმედებები გამოკითხულთა მხოლოდ 25-მა პროცენტმა გაამართლა.**

გამოკითხულთა 46 პროცენტი მართებულად მიიჩნევს შსს-ს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე გამოძიების დაწყებას. გარდა ამისა, გამოკითხულთა 51 პროცენტი (24 პროცენტის წინააღმდეგ) ფიქრობს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ყველა იმ ადამიანმა, მათ შორის მღვდლებმაც, უნდა აგონ პასუხი, ვისი სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ განხორციელბული ქმედებებიც ხელისუფლების მხრიდან კანონსაწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული.

**ჯონდი ბაღათურია**: იცოდეს ერმა, დღესაც და მომავალშიც, ვინ ქმნის, როგორც როსტომ-ხანი და როგორც ბოლშევიკები, მესამედ უკვე საქართველოს ისტორიაში პრეცედენტს უდანაშაულო სასულიერო პირების გასამართლებისა. ძიების მიერ წარმოდგენილი ის აუდიო და ვიდეომასალის აუტენტურობა არ არის დამტკიცებული, ვინაიდან ექსპერტიზა არ გაუვლია, რომც დამტკიცდეს რომ აუტენტურია, მაინც ეს არ არის დანაშაული.

**იმ დღეს „ეროვნულმა ფრონტმა“ აქცია გამართა. მათ მესვეურთა თქმით, როცა საზოგადოების ნაწილი მოითხოვს ე.წ. ძალადობის წინააღმდეგ რეაგირებას, ჩვენ ვაფიქსირებთ, რომ ეს არის ძალადობა ქართველი ერის წინააღმდეგ, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და სახელმწიფო ვალდებულია, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა აღკვეთოს. ე. წ. ფემინისტებმა 17 და 24-ის აქციებზე გამოიტანეს ჩვენი სასულიერო პირების და პატრიარქის კარიკატურები და ამას სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია. ვფიქრობთ, რომ მსგავსი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა უნდა ისჯებოდეს კანონით და სამართლებრივადო.**

**ფეისბუქზე ასეთი კომენტარებიც გაჩნდა: რჩეულიშვილ-კერვალიშვილების ოჯახს 18 პარლამენტარი დაუდგა მგონი თავდებში, რომ დანაშაული, რომელიც აღიარეს, თითქმის ეპატიათ.... ამ ორ სასულიერო პირს როგორ არ გამოუჩნდა თუნდაც ერთი პარლამენტარი, ვინც თავდებში დაუდგებოდა, გინდა დამნაშავეები ყოფილიყვნენ.... ასეთი რა არის ეს ევროპა, რომ 2 ბრალდებული სასულიერო პირის თავდებობა გვერცხვინება (ღმერთმა გაუმარჯოს თავის გზაზე კერვალიშვილ-რჩეულიშვილებს, უბრალოდ თავდებობაზე გამახსენდა და გული დამწყდა, რამე რომ იყოს პირველ სადღეგრძელოდ უფლის სადიდებელს დალევენ ჩვენი პარლამენტარები)“...**

**ნატა ნიბლაძე**

ჭირსაც წაუღიხართ ორივენი

# ხელმოწერა თუ პარაფირება — რაფინირებული დაცინვა გოიმებისთვის!

**ახლოვდება მთელი პოსტსაბჭოური სივრცისათვის საეტაპო მოვლენა — ევროკავშირის ვილნიუსის სამიტი, რომლის ფარგლებში უნდა გაიმართოს აგრეთვე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრ სახელმწიფოებთან შეხვედრა. იგულისხმება, რომ ევროკავშირი რამდენიმე მათგანთან გააფორმებს „ასოცირების ხელშეკრულებას“. თუ რომელ ქვეყნებთან კონკრეტულად - ჯერ გარკვეული არ არის. თუმცა, უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მათ რიცხვში არ იქნება. ევროკომისარმა შტეფან ფულემ ამასწინანდელი ვიზიტისას შემოგვაპარა: „თქვენთან დოკუმენტის პარაფირებას მოვახდენთ და არა ხელმოწერასო“.**



რა არის პარაფირება? იურიდიული, დიპლომატიური და პოლიტიკური თვალსაზრისით — არაფერი! „პარაფირება“ ნიშნავს, რომ მხარეები თანხმდებიან თვით დოკუმენტის ტექსტზე, ანუ მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ ტექსტს შეიძლება (!) მოეწეროს ხელი მომავალში, მაგრამ უშუალოდ ხელმოწერას ამჟამად მიზანშეუწონლად მიიჩნევენ. ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ევროკავშირი მიიჩნევს ხელმოწერას მიზანშეუწონლად, თორემ საქართველოს ხელისუფლება (ძველიც და ახალიც) ორივე ხელით „მოაწერდა“, რამე რომ ყოფილიყო.

აქედან გამომდინარე, ისიც გაურკვეველია, გაფორმდება თუ არა საქართველოსთან „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება“. ალბათ არა, რაკი ეს შეთანხმება „ასოციაციის“ თანამდევი დოკუმენტია და მის გარეშე ვერ იმოქმედებს.

ბრიუსელი გულმოდგინედ „იცავს“ ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რომელ სახელმწიფოებთან გაფორმდება ასოცირების ხელშეკრულება და ვისთან მხოლოდ პარაფირება მოხდება. საქართველოს ხელისუფლებაც, ბოლო დრომდე, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს „ხელმოწერა“ და „პარაფირება“ ერთი და იგივეა. თუმცა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს „ეშმაკობა“ მოლდოვაში ამხილა და პირდაპირ თქვა: ევროკავშირის უარი, გააფორმოს საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულება, ჩვენი შიდა პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებულიო.

ყველაზე უარესი, რაც შეიძლება ვილნიუსში მოხდეს, იქნება ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან. „დემოკრატიის“მოშველიება აქ სრული დემაგოგიაა. მაინც რომელია საქართველოზე უფრო დემოკრატიული ქვეყანა: სარგსიანის სომხეთი თუ იანუკოვიჩის უკრაინა?

გამოდის, ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ აწერენ ხელს სხვებთან და ჩვენ უარს გვეუბნებიან, უფრო საქართველოში ამჟამად მიმდინარე „ურთიერთჭამის“ პროცესებია. ამ გაუთავებელი ალიაქოთით საქართველო ევროპას ეუბნება, რომ მისთვის პოტენციური თავის ტკივილია, „პრობლემების ექსპორტიორია“ (როგორც პრეზიდენტმა სარკოზიმ დაგვახასიათა ერთხელ) და ასეთ ქვეყანასთან ასოცირება ევროპას მცირე, მაგრამ მაინც დისკომფორტს შეუქმნის. მერედა, განა თუნდაც მცირე თავის ტკივილს არ სჯობს აუტკივარი თავი საერთოდ არ აიტკივო?

როგორც ნატოში მიღების, ასევე ევროკავშირთან დაახლოების მთავარი პირობა (ამას პოლიტკორექტულობის გამო ღიად არ აჟღერებენ ხოლმე) ელიტათა თანაცხოვრების და ნორმალური ურთიერთქმედების უნარია, რასაც სხვაგვარად „შემდგარი სახელმწიფო“ ეწოდება! იმით, რაც ახლა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ევროპას ვუმტკიცებთ, რომ არშემდგარი სახელმწიფო ვართ. თანაც არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტია ოკუპირებული, არამედ ელიტათა მუდმივი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამო.

ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ევროკავშირი წინა ხელისუფლებას და მის ჩინოსნებს იცავს ან მეტისმეტად აღელვებს, თუ რატომ იყო აუცილებელი ვანო მერაბიშვილისთვის მაინცდამაინც წინასწარი პატიმრობის შერჩევა აღმკვეთ ღონისძიებად, მაშინ როდესაც, ევროპული გაგებით, „გაუსვლელობის ხელწერილიც“ კმაროდა — სასამართლომდე. ვანოც და მიშაც, სინამდვილეში, სულ არ აინტერესებთ. რეალურად ბრიუსელში ის არ მოსწონთ, რომ „მდგრადი დემოკრატია“ ვერ იქმნება ამ ქვეყანაში, ანუ სისტემა, როდესაც ხელისუფლებათა ყოველი ცვლა სამოქალაქო ომის უსისხლო აქტად და ანგარიშსწორებად არ იქცევა!

ქართული საზოგადოების მხრიდან ყველაზე ჯანსაღი და ევროპული მიდგომა ის იქნებოდა, ორივესათვის მოეთხოვა პასუხი, ოღონდ ჯერ მკაფიოდ და გასაგებად ეთქვა გენიალური შექსპირის დარად: A plague on both your houses — „ჭირი ორსავე სახლსა თქვენსა!“, ანუ, ქართულად: „ჭირსაც წაუღიხართ ორივენი!“

სანამ საზოგადოება ამის მკაფიოდ, გასაგებად და მრისხანედ თქმას ვერ მოახერხებს, ქვეყანა მუდამ დარჩება უმწეო ლუზერის როლში. როგორც ვილნიუსის მომავალ სამიტზე.

**მიხეილ გეწაძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

რეპორტაჟი ყვარლიდან

# სკამის ეპიდემია

**ისე მოხდა, რომ ყვარელში პრეზიდენტთან ინტერვიუს ასაღებად ჩასულს ადრესატი ადგილზე არ დამხვდა (უიშვიათესი გამონაკლისია!) და მის მაგივრად თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე სააკაშვილის მეზობელთა აზრის მოსმენა მომიწია.**

**— მოდი, გვერდზე დამიჯექი, — ეუბნება ზალიკო მინდიაშვილი შავდათუაანთ ვალიკოს, — ვერ გამიგია, ამ პაპანაქება სიცხეში რა თავს იკლავ მაგ ვენახის წამლობითა? აგე ჩვენი პრეზიდენტი ერთთავად თვითმფრინავს არი გამოკერებული, მაგრამ ნახე ჯვარი როგორ მოლისფრად ულივლივებს. მე, მაგალითად, შუადღემდე შევყევი ვენახს, მერე ერთი მაგრა შავიკურთხე და წამოვედი.**

**— ვის შაუკურთხე, მთავრობასა? — დაინტერესდა ნეკრესელიანთ ნიკუშა.**

**— მისამართი არ დამიკონკრეტებია, დაე ვისაც მოხვდება, იმან შაირგოს.**

**— მასე თუ ვიანგარიშებთ, ჯო, მე მგონი ყველაზე მეტი ამ ჩვენ მეზობელ მიშასა ხვდება, — ეჭვი გამოთქვა სკამის კიდეზე ჩამომჯდარმა გიგოლამ.**

**— აკი ირგებს კიდეცა, ძღომა მაგას არ აკლია, ძმაო, და ცხოვრება-ქონება. აი, მაგან უნდა თქვას — კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, — დაასურათხატა ნიკუშამ.**

**— აბა კაცო, ისე მაგრა ახურია, უცხოეთში რეჩით რო გამოდის ხოლმე, მაშინაც კი არ იხდის.**

**— ქუდს თავი გაანებე, ჯო, მაგ ყურუმსაღს ჯანი და ნამუსიც რო ჩვენებური ვირივითა აქ? რახანია მთელი ქვეყანა ეძალავება და სკამი, რომელიც 9 წლის წინათ შევარდნაძეს წაგლიჯა, დღემდე ხელიდან ველარავინ გააგდებინა.**

**— პაპა ვაცხონე და ბებია მაგისი, სწორედაც იქცევა, — გამოესარჩლა გიგოლა, — აბა ივანიშვილია ხელისუფალი, ჯერ სკამზე დამჯდარიც არა გგონია და, გასაქცევად ემზადება. აი, მიშას დედამ უნდა თქვას — შვილი გავზარდეო!**

**— ეგა, ჩემო ძმაო, მიშას დედამ კი არა, ბიძინას მშობელმა უნდა დაიტრაბახოს, — საქმეში ჩაერია დვესტიაანთ მიტუშა, — ხო ხედავ, ამ ჭორვილელმა კაცმა თავისი უცნაურობებით მსოფლიო როგორ განაცვიფრა.**

**— რა უცნაურობებით?**

**— ეე, ვითომ არ იცოდეთ. ივანიშვილი ის კაცია, რომელმაც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში) ახალი დემოკრატია შემოიტანა.**

**— მასეთი რა გააკეთა?**

**— როგორ თუ რა გააკეთა, ძმებო. სკამის ეპიდემიას მარტოდმარტო შეეჭიდა და დაამარცხა.**

**— გინდა თქვა, რომ მიშა სკამის ავადმყოფია?**

**— არა უბრალოდ ავადმყოფი, ამ საქმის მანიაკი (სკამზე ერთპიროვნული მონოპოლია აქვს).**

**— მანიაკი?**

**— ჰო მანიაკი, რომელმაც საკუთარ ხუშტურებს მთელი ქვეყანა ანაცვალა. და არა მარტო მიშა, ნახეთ სკამის ეპიდემიამ რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ერაყში, სირიასა და ეგვიპტეში. სკამის მოყვარულებმა თუ ჭკუა არ ისწავლეს, მალე ეს საფრთხე ევროპასა და ამერიკასაც დაემუქრება.**

**— მიტუუშ! ძაან გაუტიე აი, — გაუწყრა მეზობელს სიტყვაძუნწი ნიკუშა, — მიშას სკამს რო ჩააცივდი, რატო იმას ველარა ხედავ, უსკამო ივანიშვილმა ეკონომიკა ნულზე რო დაიყვანა?**

**— ეკონომიკა საერთოდ არ იყო და ნულზე როგორ დაიყვანდა?**

**— თუ არ იყო, აბა ყოველწლიურად7-8 პროცენტით როგორ იზრდებოდა?**

**— ეკონომიკა კი არა, ჩემო მიტუშ, ბიზნესმენთა დაყაჩაღებით მიშნაცების ჯიბეები ივსებოდა. როგორც ბრაკონიერები წყალში დენის გაშვებით წყვეტენ ერთიანად თევზეულობას, ისე ეგენი ანადგურებდნენ პირწმინდად ეკონომიკას.**

**— როგორ ფიქრობ, ივანიშვილი დენს აღარ გამოიყენებს?**

**— არა, ბიძინა დენის ნაცვლად ბიზნესდინებას ფაცერს ჩაუდგამს და ეკონომიკას მსხვილ-მსხვილი კალმახითა და ორაგულით მოაღონიერებს.**

**— კალმახს თავი გაანებე, შენ ეგ გვითხარი, დასეტყვილი ვენახის საკომპენსაციო თანხით ტრაქტორი რო იყიდე, როგორა მუშაობს?**

**— ტრაქტორი კი მუშაობს, მაგრამ აზერბაიჯანული საწვავი არ ევასება და ხნულში სუ ფრუტუნითა და ცხვირის ცემინებით დადის.**

**— რუსულსა თხოულობს? ვერ მივართვი, რუსული საწვავი კი ხარისხიანია, მაგრამ წვის დროს აუტანელი ხმაური იცის.**

**— ხმაური კი არა და... აგე პუტინმა მაგ ხმაურიანი საწვავით მთელი ევროპა გააჩუმა.**



**ევროპელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რომ შევატყვე მიშას მეზობლები გაჩუმებას არ აპირებდნენ, მომენტი ვიხელთე და გამოვიძურწე (არადა მწვადი უკვე შიშხინებდა). ისე, მე მგონი, წაგებული არ დავრჩენილვარ, მიშას ამბავი რომ ვიცი, ინტერვიუში, როგორც სჩვევია ხოლმე, ღრუბელ-ღრუბელ იფრენდა, ამათ კი (მეზობლებმა) ერთმანეთთან საუბარში როგორღაც რეალური ამბები გადმოალაგეს.**

**მკითხველო, განა არ მეთანხმებით!**

**ოტია ჩართოლანი**

ალიან-ჩალიანი



## კახეთში მოსახლეობის აღწერის დიწყო

**კახეთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპი დიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან აცნობეს , პროცესი, რომლის ფარგლებშიც შენობებისა და მათში ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახების სიები შედგება, 29 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.**

**აღწერას 382-კაციანი სათანადოდ მომზადებული პერსონალი განახორციელებს.**

**— ჩვენი ოჯახების სიების შედგენა 1 ივლისს აჭარა-გურიიდან დაიწყო. ნოემბრიდან კი ოჯახების წინასწარი სიების შედგენა საქართველოს სხვა რეგიონებში გაგრძელდება. აღნიშნულ სამუშაოებში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 4 ათას ადამიანს მიაღწევს, — განმარტავენ „საქსტატში“. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება. აღწერის ჩასატარებლად 15 ათასამდე პირი შეირჩევა. პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია „საქსტატი“.**

## გვიშტიბში გამგებლის კარი აჭედეს

**წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მოსახლეობამ სოფლის გამგებლის სამუშაო კაბინეტი და შენობის რამდენიმე ოთახი აჭედა. აქციის მონაწილეების განცხადებით, დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს სოფლის გამგებელი ჭაბუკი შვანგირაძე, რადგან მას 6 წლის მანძილზე სოფლისთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია.**

**როგორც აქციის მონაწილეები აღნიშნავენ, სოფელს სურდა, რომ საბჭოთა კოლმეურნეობის ყოფილ შენობაში პროფესიული სასწავლებელი გაეხსნა, რის შესახებაც შეთანხმება ეკონომიკის სამინისტროსთან მიღწეული იყო, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სოფლის გამგებელს აღნიშნული შენობა გასხვისებული ჰქონდა. განაცხადა, რომ ბრალდება უსაფუძვლოა, რადგან აღნიშნული შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო და მის გაყიდვას არავინ ეკითხებოდა.**

**აქციის მონაწილეები სოფლის გამგებლის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვენ.**

**ინტერპრესი**



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**მათ, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში უსასრულო პოლიტიკური გაურკვევლობა დამთავრდებოდა 2012 წელს ხელისუფლების შეცვლით, უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში ვერ მიიღეს განსაკუთრებული საფუძველი ოპტიმიზმისთვის.** ახალმა მთავრობამ მართლაც მიაღწია გარკვეულ წარმატებებს მთელი რიგი რეფორმების რეალიზაციაში, მაგრამ ასეთი ინიციატივები ჩვეულებრივად ძნელად შესამჩნევია სასოწარკვეთილების ხმამაღალი და ხშირი გამოთქმის საერთო ფონზე. ახალი ამბები გაჩნდა თბილისში გეების მაისის დარბევისა და რამდენიმე დღის შემდეგ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ. მაგრამ დასავლელი პოლიტიკოსებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეაქციას ამ მოვლენებზე ძნელად რომ შეიძლება უწოდო კონსტრუქციული და ყოვლისამხსნელი. სამწუხაროდ, ამგვარი რეაქცია ტიპური გახდა ამ რეგიონზე გავრცელებულ უხვ შეხედულებებში: ესაა მიკერძოებულობა სიმბოლიზმისადმი რეალობის საზიანოდ.

# საქართველოს დაუბინდავი მზერით შეხედეთ

იყო ერთგვარი პარადოქსი და ირონია ნეგატიურ რეაქციაში 17 მაისის დემონსტრაციაზე, როდესაც მართლმადიდებელი ექსტრემისტების დიდი ტალღა თავს დაესხა იმ მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს თბილისის ცენტრში, რომლებიც ჰომოსექსუალისტების ინტერესებს იცავდნენ. სიმკაცრისა და ძალადობის შემაზრზენი გამოვლინებით აღშფოთებული დასავლელი მიმომხილველები და ქართველი ლიბერალები იწყებენ, ბუნებრივია, დამნაშავეთა დაუყოვნებლივი დასჯის მოთხოვნას. მაგრამ როდესაც ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააპატიმრეს საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მოგვიანებით კი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი იმავე კომენტატორებმა დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ მისი დაპატიმრება ეს არის არა მხოლოდ ვენდეტის ახალი დადასტურება, რასაც დღეს საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ახორციელებენ.

კრიტიკოსების უმრავლესობა საუბრობს იმის შესახებ, რომ ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება — ეს არის თვითნებობის და პოლიტიკური დევნის მაგალითი, ხოლო ის 10 დღე რაც სახელმწიფოს დასჭირდა 17 მაისის მოვლენების მონაწილეთა მიმართ ბრალდების წაყენებისათვის, ეს ძალიან დიდი პერიოდია. შეგნების ასეთი დისონანსი მეტად დამახასიათებელია დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ქართული პოლიტიკის გაშუქების დროს, როდესაც ისინი თუნდაც რაღაც ყურადღებას უთმობენ მას.

### ამერიკის შეერთებული შტატები გვაფრთხილებს: დამოკიდებულება საქართველოსთან შეიძლება შეიცვალოს

**რასაკვირველია, არ არის არანაირი ეჭვი იმაში, რომ დამნაშავენი 17 მაისის დარბევაში უნდა დაისაჯონ. საქართველოს მთავრობა კი ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდეს, ვინაიდან ჭეშმარიტ დემოკრატიას არ შეუძლია არსებობდეს უმცირესობის უფლებების დაუცველად.** მართალია, ქართველების უდიდესი უმრავლესობა უარყოფითად ეკიდება ჰომოსექსუალიზმს, გადაჭარბებული იქნებოდა გვეთქვა იმის შესახებ, რომ ის რამდენიმე რადიკალი ვინც ქუჩაში გამოვიდა და თავს დაესხა მშვიდობიან მიტინგს, სტატისტიკურად მთელ საქართველოს წარმოადგენს. დაე მოსახლეობას მთლიანად არ მოსწონდეს ცხოვრების სხვაგვარი ნირი მაგრამ 17 მაისს ჩამოყალიბებული ბრბო არ ყოფილა რაღაც სპონტანური იმპროვიზირებული შეკრება.

მიუხედავად დასავლეთის გარკვეული ხელმძღვანელებისა და ანალიტიკოსების რეაქციისა, უშედეგოა კონკრეტულად ბრალის დადებაც საქართველოს ამჟამინდელ მთავრობაზე, რომ იგი იჩენს ძალადობას. სწორია, რომ ხელისუფლება აშკარად არ იყო მზად ძალადობის ასეთი აფეთქებისთვის. მან თავისი უნდა მიაგოს ყოველივეს, დაიწყეს თავდამსხმელების დაპატიმრება და უმცირესობათა უფლებების დაცვა. სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ჯერ კიდევ 17 მაისის მოვლენებამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არაორაზროვნად განაცხადა იმის შესახებ, რომ სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები ქვეყნის თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოება ამას თანდათანობით „შეეჩვევა“. დარბევის შემდეგ პრემიერი დაგვპირდა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან და განაცხადა კიდეც, რომ ჩვეულებრივად სულიერებისადმი ხელშეუხებლობის პრინციპი „ალიბს არ იძლევა“. პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა კიდევ უფრო კონკრეტულად და ხაზგასმით გააკრიტიკა ეკლესია მისი მონაწილეობის გამო მკაცრ მოქმედებებში. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალა იყო, ვერ მოიპოვა დიდების გვირგვინი ამ საკითხში, ვინაიდან თითქმის არაფერს აკეთებდა, რათა აღეკვეთათ მართლმადიდებელი ექსტრემისტების ძალადობის ესკალაცია...

### „ვოშინგტონ პოსტის“ შეცდომა - დემოკრატია საქართველოში უსაფრთხოა

**მაისში ჩემგან ინტერვიუ აიღო ჟურნალისტმა ქართულ სააგენტო „ინტერპრეს ნიუსიდან“. ის სკეპტიკურად შემეკითხა: რატომ გამოცოცხლდნენ დასავლელი კრიტიკოსები, როდესაც განიხილავდნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას 17 მაისის თავდასხმებში და ამავე დროს არანაირ ყურადღებას არ აქცევენ წინანდელი მთავრობის ბოროტმოქმედებებს.** მე არ მქონია კარგი პასუხი. მე დავიწყე საუბარი ამ ამბების შეუთავსებლობაზე, იმათი პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე, ვინც დამნაშავეა ბრალდებულ მოქმედებებში. მაგრამ არის რაღაც მეტად არასასიამოვნო იმაში, რომ ბევრი ჩვენგანი დასავლეთში ცდილობს, ძალით მოახვიოს თავსსხვას თავიანთი ღირებულებანი, მაგრამ ამავე დროს უგულებელყოფენ და გმობენ კიდეც ადგილობრივი პრიორიტეტების ლეგიტიმურობას. ბევრი ქართველისთვის ეს, უკეთეს შემთხვევაში, ქედმაღლობაა, უარეს შემთხვევაში კი — ორპირობა.

რასაკვირველია, დასავლეთმა გადაჭრით და ხმამაღლა უნდა განაცხადოს რომ იცავს უმცირესობის უფლებებს. ძალადობა გეებისა და სხვა უმცირესობათა წინააღმდეგ მოუთმენელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, თუ იგი კარგა ხანია ისწრაფვის, გახდეს გეოატლანტიკური გაერთიანების წევრი. მაგრამ, ამავე დროს, მისი სურვილი — გამოასწოროს წინა რეჟიმის შეცდომები და უკიდურესობანი უნდა აღვიქვათ არანაკლებ ლეგიტიმურად და დასაბუთებულ მისწრაფებად. ქართველების უმრავლესობისათვის ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა, შეუთავსებელი იყო რეალობასთან. დიახ, დასავლეთი უნდა გამოვიდეს შურისძიების დამსჯელი ოპერაციების წინააღმდეგ, რაც ზიანს აყენებს ინიციატივიან და მეტად აუცილებელ საზოგადოებრივ-სახელმწიფო პოლიტიკას, განსაკუთრებით, რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ არაფერია ცუდი, როდესაც განიხილავ უსამართლობის ფაქტებს.

### სააკაშვილი: საქართველო შემდგარი სახელმწიფოა

**ის, რომ თბილისი მყარად დგას პროდასავლურ პოზიციაზე, მიუხედავად საქართველოში არსებული რწმენისა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს უჭერდნენ დასავლეთის დედაქალაქები განვლილ არჩევნებში, ბევრი რამ მეტყველებს ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ მისწრაფების ძალაზე.** მაგრამ დიდი სარგებლობა არ მოაქვს იმას, რომ საკმაოდ ღია სისხლის სამართლის გამოძიებანი საქართველოში წარმოუდგენიათ როგორც პოსტსაბჭოური პოლიტიკური ვენდეტა. თუ მთლიანად ვილაპარაკებთ, დასავლელი მიმომხილველები მუდმივად ეძებენ რაღაც გრანდიოზულ ტექტონიკურ მნიშვნელობას მომხდარ მოვლენებში, მაშინ როდესაც სინამდვილე გაცილებით გამჭვირვალეა.

დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს მის განვითარებაში და გარდაქმნაში, რომ იგი გახდეს ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ თავის თავს ცუდ სამსახურს გავუწევთ ამ ხანგრძლივ პროცესში თუ თბილისის მცდელობას ვუპასუხებთ წინა უსამართლოდ გახმაურებული ინსინუაციებითა და ბრალდებებით პოლიტიკურ რეპრესიებში, აგრეთვე შედარებებით უკრაინასთან დემოკრატიის გზაზე უკან დახევაში. თუ დასავლეთი სერიოზულად ლაპარაკობს დემოკრატიის იდეალების წინსვლაზე, მან თბილისს უნდა მისცეს რეკომენდაციები მის შესახებ, თუ უკეთ როგორ გაერკვეს სულ უფრო მზარდ სამართალდარღვევათა გამოძიებაში, ნაცვლად იმისა, რომ მივიღოთ ისეთი პოზიცია, თითქოს ამ ცოტა ხნის წინათ არაფერი ამგვარი არ მომხდარა.

The American Interest Online

## დედამიწის ზურგზე



### ისლამისტების ახალი შეტაკება პოლიციასთან კაიროში: ერთი კაცი დაიღუპა, 100-ზე მეტი დაიჭრა

მურსის ათასობით მომხრემ გადაკეტა კაიროს სატრანსპორტო არტერია. დღემდე გრძელდება ისლამისტების შეტაკებები პოლიციელებთან, რომლებიც შეკრებილების დასაშლელად იყენებენ ხელყუმბარებს ცრემლსადენი გაზით. ისლამისტების მასობრივი საპროტესტო აქციები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც იმდინარეობს.

### აშშ-ის სამხედროებმა დააფიქსირეს რუსეთის იმ სამხედრო თანამგზავრის ჩამოვარდნა, რომელიც 2011 წელს გაუშვეს



თანამგზავრ „გეო-იკ-2“-ის გაშვების დროს ორი წლის წინათ პლესეცკიდან მოხდა გაუთვალისწინებელი სიტუაცია ერთ-ერთი ბლოკის მუშაობის ეტაპზე. შედეგად აპარატი გაიყვანეს გამოუანგარიშებელ ორბიტაზე და იგი აღარ უპასუხებდა ბრძანებებს დედამიწიდან. ამგვარი თანამგზავრის გაშვება დაგეგმილია 2014 წლისათვის.




### ნეპტუნს აღმოუჩინეს ანგარიშით მე-14 თანამგზავრი

ამ აღმოჩენის ავტორი გახდა ამერიკელი მარკ შოუოლტერი. მან გულდასმით შეისწავლა ასზე მეტი საარქივო ფოტოგრაფია რომლებიც გაკეთებულია 2004-09 წლებში კოსმოსური ტელესკოპით, სანამ აღმოჩენას გადაეყრებოდა. ამ მთვარეს კოდური სახელწოდება — ᲡᲔ 2004 №1 მიანიჭეს.

### ზღვის ფსკერიდან ფლორიდის მახლობლად განძის მაძიებლებმა 48 ოქროს მონეტა ამოიღეს



1715 წელს დაახლოებით იმავე ადგილზე გრიგალში აღმოჩნდა და ჩაიძირა ოქროთი დატვირთული 11 ესპანური გალეონი. რომლებიც კუბიდან ბრუნდებოდნენ. შტატს ეკუთვნის ყველა აღმოჩენილი განძის 20 პროცენტის ფლობის უფლება, ამიტომ, როგორც ელოდებიან, მონეტების ნაწილი სამუზეუმო კოლექციებში შევა.

ეროვნული აკადემია

# „გაუცხოება“ გრძელდება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ ბოლო სხდომაზე (აქვე საკითხავად, ხომ არ ვიფიქროთ ამ არცთუ მოსახერხებელი სახელის — „აკადემიის აკადემიური საბჭო“ შეცვლაზე?) აკადემიის 6 ახალი უცხოელი წევრი ერთსულოვნად აირჩია: შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ვლადიმერ მაზია,** სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **სერგო ამბარცუმიანი,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ანატოლი მიხაილოვსკი,** რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **მამედ ალიევი,** მექსიკის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი წევრი **ავთანდილ გოგიჩაიშვილი** და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **სერგეი კორიკოვსკი.**

მკითხველს ერთი გარემოება უნდა შევახსენოთ: როგორი გამოჩენილიც არ უნდა იყოს საზღვარგარეთელი სწავლული, როგორი მაღალი ავტორიტეტითაც არ უნდა სარგებლობდეს საერთაშორისო მეცნიერულ წრეებში, ჩვენი ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრობისათვის ერთ აუცილებელ პირობას უნდა მოერგოს — ქართველ კოლეგებთან სასარგებლო კონტაქტები უნდა ჰქონდეს, ქართული მეცნიერებისათვის საგულისყურო საქმეებს უნდა აკეთებდეს. ექვსივე „ახალბედა“, სასიკეთოდ, სწორედ ასეთია: დღევანდელ წერილში პირველ სამზე მოგითხრობთ.

**ვლადიმერ მაზია,** მათემატიკოსი და მექანიკოსი, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1960 წლის კურსდამთავრებულია (დაბადებულია 1937-ში). 28 წლისას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 20 მონოგრაფიისა (მათგან 7 აშშ-ში გამოქვეყნდა) და 500-ზე მეტი ნაშრომის ავტორს მიეძღვნა კონფერენციები კიოტოში, პარიზში, რომსა და სტოკჰოლმში.

**ვლ. მაზია** სხვადასხვა დროს არჩეულია ედინბურგის სამეფო საზოგადოების წევრად, შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ამერიკის მათემატიკური საზოგადოების გამორჩეულ წევრად; გახლავთ ლინჩოპინგის (შვედეთი) უნივერსიტეტის ემერიტუს (საპატიო) პროფესორი, ლივერპულისაც; როსტოვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; ჰუმბოლდტისა და ვერდაგუერის პრემიების, ლონდონის მათემატიკური საზოგადოების უაიტჰედის პრემიის ლაურეატი (2009 წ.); შვედეთის სამეფო საზოგადოებამ ის ცელსიუსის ოქროს მედლით დააჯილდოვა კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიასა და ჰიდროდინამიკაში პირველხარისხოვანი შედეგებისათვის.

ქართველ მათემატიკოსებთან ვლ. მაზიას ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო კავშირები, რაც აქამდეც ინტენსიურად გრძელდება ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მომუშავე სხვადასხვა ჯგუფთან, თანაავტორობით შესრულებული გამოკვლევების ჩათვლით.

ასევე მათემატიკოსი და მექანიკოსი **სერგო ამბარცუმიანი,** 91 წელს გადაცილებული, ყველაზე მიმხცოვნებული უცხოელი აკადემიკოსი იქნება. ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოშვებული (1942 წ.), 30 წლისა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორია, 34 წლისა — სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1965 წლიდან — ნამდვილი წევრი. რუსეთში, აშშ-ში, იაპონიაში, ჩინეთში დასტამბული 16 მონოგრაფიის ავტორია.



სხვადასხვა პერიოდში ის იყო სომხეთის აკადემიის ერთ-ერთი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მექანიკისა და მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ამჟამად აკადემიის პრეზიდიუმისა და უნივერსიტეტის რექტორატის მრჩეველია. უცხოელი წევრობა მისთვის უცხო როდია — 2003 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს.

ს. ამბარცუმიანი მონპელიეს უნივერსიტეტის მედლის, ს. ვავილოვის სახელობის მედლის, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის „დიდი ოქროსა“ და „დიდი ვერცხლის“ მედლების კავალერია, არაერთი საერთაშორისო აკადემიის წევრი და წევრ-კორესპონდენტი, რამდენიმე უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტის საპატიო დოქტორი ან პროფესორი.

მუდამ ჰქონდა ახლო კონტაქტები ქართველ მათემატიკოსებსა და მექანიკოსებთან, წლების სიგრძეზე იყო ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის რეგიონული სადისერტაციო საბჭოს წევრი, ბევრი თბილისური სამეცნიერო ფორუმის სასურველი სტუმარი და აქტიური მონაწილე.

78 წლის **ანატოლი მიხაილოვსკი,** ფიზიკოსი, რუსეთის ფედერაციის კურჩატოვის სამეცნიერო ცენტრის ბირთვული სინთეზის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პლაზმის თეორიის გამოჩენილი სპეციალისტია. იგი იმ მკვლევართა პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში პლაზმის ფიზიკის თეორიას ჩაუყარეს საფუძველი. 370-მდე ნაშრომმა, მათ რიცხვში ხუთმა ენციკლოპედიური ხასიათის მონოგრაფიამ და ცამეტმა მიმოხილვითმა გამოკვლევამ ა. მიხაილოვსკის ფართო აღიარება და მაღალი ავტორიტეტი დაუმკვიდრა რუსეთში და საზღვარგარეთ. მისი ციტირების ინდექსი, მარტო 1975 წლის შემდეგ გამოქვეყნებული შრომების მიხედვით, 4500-ს აღემატება, ხოლო ჰირშის განსაკუთრებული ინდექსი 28-ის ტოლია.

ა. მიხაილოვსკის მრავალი მოწაფის რიცხვში ქართველებიც შედიან. 1970-იანი წლების მიწურულს ის აქტიურად თანამშრომლობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ჩამოყალიბებულ პლაზმური ასტროფიზიკის ჯგუფთან (ხელმძღვანელი ჯუმბერ ლომინაძე), რომლის წარმომადგენელთა პირველი სამეცნიერო ნაშრომები შესრულებულია მასთან თანაავტორობით. ეს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება, რამდენადაც ა. მიხაილოვსკის ცოდნა თუ გამოცდილება პლაზმის ფიზიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც ერთობ მოთხოვნადია.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსმა ფიზიკოსმა ჩინებული წიგნი მიუძღვნა ძველი ქართველი მეგობრისა და კოლეგის, აკმადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის მე-80 წლითავს.

**ლამარა გოგოლაური,**
**თამაზ ებანოიძე**

ბიზნეს-ელიტა

## უმდიდრესთა „მაღალი საზოგადოება“

**ადრეც გვილაპარაკია იმაზე, რომ მსოფლიოს ეკონომიკას დაახლოებით ათას ხუთასი მსხვილი კომპანია მართავს, რომლის დაახლოებით მეათედისგან შემდგარი ბირთვის მეპატრონეებს განსაკუთრებულად დიდი გავლენა აქვთ თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობაში მიმდინარე პროცესების უკვლებლივ ყველა ასპექტზე.**

აუდიტორული კომპანიის „ერნსტ ენდ იანგის“ ექსპერტთა შეფასებით, კაპიტალიზაციის მოცულობით ყველაზე ძვირადღირებული კომპანია ამჟამად სანავთობო გიგანტი **„ექსონ მობილია“,** რომელმაც ეს წოდება მანამდე ამ ტიტულის მატარებელ კომპანია **„ეიფლს“** ჩამოერთვა.

ექსპერტების გათვლებით, „ექსონ მობილის“ მთლიანი კაპიტალიზაცია 402 მილიარდი დოლარია, რომელიც მარტო წლეულს შვიდი მილიარდი დოლარით გაიზარდა. სწორედ ამან განაპირობა რეიტინგში „ექსონ მობილის“ პირველობა, მით უმეტეს, რომ „ეიფლის“ აქციებზე ფასების ვარდნამ მისი კაპიტალიზაციის მაჩვენებელი 500-დან 372 მილიარდ დოლარამდე შეამცირა! არადა შარშან „ეიფლი“ რეიტინგის №1-ლი იყო, თუმცა კი წინა წლებში (2006-2011) ამ ტიტულს „ექსონ მობილი“ ფლობდა.

კაპიტალიზაციის პარამეტრით რეიტინგში მოწინავე პოზიციებზე ასევე იმყოფებიან **„მაიკროსოფტი“, „ბერკშაირ ჰეთევეი“, „ველმერი“, „ჯონსონ ენდ ჯონსონი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „შევრონი“, ასევე „ინდასთრიალ ენდ კომერციალ ბენკ ოფ ჩაინა“.**

ექსპერტები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ 2013 წელს მსოფლიოს ყველაზე დიდი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების პირველ ასეულში თითქმის ნახევარი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის — 47 კომპანია. საყურადღებოა ისიც, რომ ამავე პერიოდში სიაში ოთხით შემცირდა ევროპის ქვეყნების კომპანიების რიცხვი და სადღეისოდ ასეთი 30 ფირმაა, რომელთა შორის ყველაზე დიდი კაპიტალის მქონეა შვეიცარიული ფარმაცევტული გიგანტი „როშე“ (საერთო სიის მე-13 ადგილი 214 მილიარდი დოლარით).

ამასთან დაკავშირებით ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ყველაზე დიდი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების პირველ ათეულში ცხრა ამერიკული ფირმების ყოფნა იმას მოწმობს, რომ იქ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგები გაცილებით ნაკლებად იგრძნობა, ვიდრე ევროპაში. საყურადღებოა ასევე ისიც, რომ უდიდეს და უმდიდრეს ფირმათა „საზოგადოებაში“ პოზიცია გარკვეულწილად ჩინეთმაც დათმო, რომელსაც წლეულს ამ სიიდან ერთი კომპანია „დააკლდა“.

**ნინო ალექსანდრია**

ალიან-ჩალიანი

### აფეთქება ჭიათურის მაღაროში

**ჭიათურის მაღაროში აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. უბედური შემთხვევა მაღაროში ორშაბათს გვიან ღამით მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ჯორჯიან მანგანეზში“ განუცხადეს, ადგილზე დაიღუპა შალვა დარბაიძე.**

**როგორც მაღაროს თანამშრომლები აცხადებენ, შალვა დარბაიძე ფითილს ამზადებდა, რა დროსაც ჭერი ჩამოინგრა, ამფეთქებელს ლოდი დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მოკვლევა.**

### „მიკროავტობუსით“ მძღოლებს ზაფხულში გადასახადი შეუმცირეს

**„თბილისის მიკროავტობუსი“ მძღოლებს ზაფხულის პერიოდში, მარშუტზე მოძრაობის გადასახადს 20-30%-ით შეუმცირებს, — ამის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე „თბილისის მიკროავტობისის“ გენერალურმა დირექტორმა დავით ასანიძემ განაცხადა.**

**მისივე თქმით, ზაფხულის სეზონის დადგომასთან და მგზავრთა ნაკადის კლებასთან დაკავშირებით, კომპანია „თბილისის მიაკროავტობუსი“ მძღოლებს საზაფხულო მოსაკრებელს უწესებს, კერძოდ, მიკროავტობუსის მძღოლებისათვის მარშუტზე მოძრაობის გადასახადი 16 ივლისიდან ეტაპობრივად გაიაფდება და მძღოლებისთვის ეს ტარიფი 15 სექტემბრამდე იმოქმედებს.**

**დავით ასანიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული გადასახადი უკვე 200-ს მიკროავტობუსს შეეხო და ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება. მისივე თქმით, მგზავრთა ნაკადის შემცირებასთან ერთად, შესაძლოა, შემცირდეს თავად მიკროავტობუსების რაოდენობა.**



**დავით ასანიძის განცხადებით, ეს ყოველივე მგზავრობის ღირებულებაზე არ აისახება და მგზავრობის ტარიფი კვლავ 80 თეთრი დარჩება.**

**ინტერპრესი**

სად წაიყვან სადაურსა...

### სულეიმან ფაშა აბუ-ლაილა (1694-1762)



**მამლუქი გამგებელი ერაყისა. 12 წლის ბიჭუნა ტყვედ წაიყვანეს საქართველოდან და მიჰყიდეს ერაყის გამგებელს ჰასან ფაშას, რომელმაც, მერე და მერე, შენიშნა რა მისი ნიჭი და სიმამაცე, მონობიდან გაათავისუფლა და დააწინაურა კიდეც.**

შემდეგ სულეიმანი გახდა ჰასანის ვაჟისა და მემკვიდრის აჰმედ ფაშას სიძე. 1733 წელს მას უბოძეს მთავარსარდლის (მირმირანის) ტიტული და დანიშნეს ფაშას მოადგილის (ქაჰიას) თანამდებობაზე.

1747 წელს სულეიმანი გადაჰყავთ ადანის გამგებლად, საიდანაც ერთ წელიწადში აგზავნიან ბასრის გამგებლად (მუთასალიმად). იმავე წელს, როცა აჰმედი გარდაიცვალა, ოსმალეთის სულთანმა ბაღდადის გამგებლად (ვალი) დანიშნა თავისი კაცი — აქაოდა, მამლუქებმა არ აიღონ ხელთ ძალაუფლებაო. სულეიმანმა ის კაცი გააძევა და იქაურ ქართველებზე დაყრდნობით, 1749 წელს, ერაყის პირველ მამლუქ ფაშად აღზევდა. სწორედ სულეიმან ფაშა აბუ-ლაილას ზეობით დაიწყო ერაყში მამლუქთა გამგებლობის ხანა.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

### სკანდალის ექო



# ქუთაისელები „ვისოლის“ მეპატრონეს ემუქრებიან!

**სამარცხვინო გამოდგა ევროსარბიელზე ქართული კლუბების სტარტი. ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენმა წარმომადგენლებმა საშინაო შეხვედრებში თავი ვერაფრით გამოიჩინეს.**

**საჩხერის „ჩიხურამ“ თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შვეიცარიის მეორე ლიგაში (ჩელენჯლიგაში) მოასპარეზე „ვადუცს“ უმასპინძლა და შეხვედრა 0:0 დასრულა. 33–ათასიანი ჯუჯა-სახელმწიფოს, ლიხტენშტეინის გუნდის ყველაზე დიდი მიღწევა არაერთგზის მცდელობიდან ოთხჯერ შემდეგ ეტაპზე გასვლაა.**

სტადიონზე მისული 1000-მდე მაყურებელი იმაზე მიუთითებდა, რომ ქართველმა გულშემატკივრებმა ჩვენი კლუბების მიმართ ინტერესი და მათი იმედი საბოლოოდ დაკარგეს.

საჩხერელებმა იმდენად უფერულად ითამაშეს, მათი წაგება არავის გაუკვირდებოდა. სოსო ფრუიძის დარიგებულებმა კარისკენ ორჯერ დაარტყეს და ისე უსუსურად ცდილობდნენ შეტევას, თითქოს რომელიმე საშუალო ევროპულ გუნდს ხვდებოდნენ.

განსაკუთრებით აღშფოთებელი მაინც ქუთაისელი გულშემატკივარი დარჩა, რადგან „ტორპედოსა“ და სლოვაკეთის „ჟილინას“ შორის გამართული შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა 0:3.

უფრო მნიშვნელოვანი ქუთაისური მატჩის „მესამე ტაიმი“ გახდა: ცენტრალურ სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა სლოვაკებთან წაგებით აღშფოთება უკიდურესი ფორმებით გამოხატეს, თამაშის შემდეგ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას დაუპირისპირდნენ, სკანდირებდნენ — „წადით! წადით!“ და სკამების მტვრევა დაიწყეს. აგრესიის შეჩერება პოლიციამ სცადა და შეხლა-შემოხლა რამდენიმე ახალგაზრდის, მათ შორის „ტორპედოს“ ფანკლუბის წევრების დაკავებით დასრულდა. ისინი ქუთაისის პოლიციის განყოფილებიდან გვიან ღამით გაათავისუფლეს.



ქუთაისის „ტორპედოს“ მეპატრონე კომპანია „ვისოლია“. მან გუნდზე ზრუნვა 2010 წლიდან დაიწყო, როდესაც „ტორპედო“ პირველი ლიგიდან უმაღლესში დაწინაურდა. როგორ კომპანიის პიარ-სამსახური ამტკიცებს, გუნდის განვითარებისათვის ყოველწლიურად ოთხი მილიონი ლარი იხარჯება.

თავიდან ქუთაისელები კომპანიის საქმიანობით კმაყოფილები იყვნენ. გუნდი გაძლიერდა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ეროვნული თასის ფინალში გავიდა, თანაც ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ზედიზედ ორჯერ ევროპის ლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ყველაფერი წლეულს აირია. ამტკიცებენ, რომ თავის დროზე „ვისოლი“ საფეხბურთო გუნდს არც აიყვანდა, საქართველოს ხელისუფლებას რომ არ დაევალებინა. მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ „ვისოლს“ პოლიტიკური წნეხი მოეხსნა და მისმა მეპატრონეებმა ფეხბურთიდან წასვლა ნაბიჯ-ნაბიჯ სცადეს — გაუშვეს მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე და რამდენიმე წამყვანი მოთამაშე: დათა რიგვავა, ბიძინა ცინცაძე, გიორგი ონიანი, ლაშა შერგელაშვილი, გიორგი გურული, გრიგოლ დოლიძე, გიორგი დათუნაიშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, გიორგი ბერიაშვილი და ვალერი ბოლქვაძე.

მათ ნაცვლად „ტორპედოში“ გაურკვეველი კვალიფიკაციის ესპანელი ჟერარდ სარაგოსა მულეტი დანიშნეს. „ესპანიოლის“ საფეხბურთო ცენტრის ყოფილი მწვრთნელი თბილისის „ლოკომოტივში“ მუშაობდა და გუნდიდან 17-19 წლის ოცამდე მოთამაშე წამოიყვანა. მათი უმრავლესობა ასაკობრივი ნაკრებების წევრები, მაგრამ დიდ ფეხბურთში გამოუცდელები არიან.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „ვისოლი“ და კლუბ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ლექსო თოფურია თანამშრომლობდნენ და ამის შედეგად განხორციელებული ტრანსფერებით ჩამოყალიბებულ ახალ გუნდს „ჯუნგლებმა“ ქუთაისის „ლოკომოტივი“ შეარქვეს. ამაში სიმართლის მარცვალი არის: „ვისოლის“ დამფუძნებელი „სილქ როუდ გრუპ“ „ლოკომოტივის“ დამფუძნებელიც გახლავთ.

ქუთათურთა ფან-კლუბმა „ჯუნგლებმა“ „ტორპედოს“მფლობელის მუშაობაზე უკმაყოფილება ჯერ კიდევ ამ ცვლილებების გამო გამოხატა.

„ვისოლმა“ ქუთაისში კარგად დაიწყო მუშაობა და კლუბს ძველი ტრადიცია დაუბრუნა, თუმცა ახლა უკვე სწორედ ამ ტრადიციისა და ღირსების შელახვას ცდილობს. გუნდიდან გაუშვეს საქართველოში ყველაზე წარჩინებული მწვრთნელი გია გეგუჩაძე; დაიწყეს გუნდის გაახალგაზრდავება, ევროტურნირების წინ დაასუსტეს შემადგენლობა, მიიყვანეს 17-19 წლის ფეხბურთელები; ასევე გუნდიდან უშვებენ თითქმის ყველა ქუთაისელ ფეხბურთელს. არის საუბარი, რომ გუნდი საგურამოში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე დაბანაკდება.

ეს ყველაფერი „ტორპედოსა“ და ქალაქის შეურაცხყოფაა. ქუთაისი საქართველოს ნაკრებს მუდამ უზრდიდა ნიჭიერ ფეხბურთელებს და ძნელი წარმოსადგენია, რომ „ტორპედოში“ ადგილი ვერ გამოიძებნოს ადგილობრივი ფეხბურთელებისთვის. საუბრობენ, რომ 3 წლის განმავლობაში მუშაობს აკადემია, თუმცა ამ დროის მანძილზე გუნდში მხოლოდ 2 ადგილობრივი გამოჩნდა.

ჩვენი მთავარი მოთხოვნაა: ქუთაისის „ტორპედო“ გახდეს ქალაქისთვის შესაფერისი ამბიციებისა და მიზნების მქონე გუნდი. საამისოდ „ვისოლს“ ძალიან ცოტა დრო აქვს. თუ კლუბის მფლობელი კომპანია ამ პირობის შესრულებას ვერ შეძლებს, უმჯობესი იქნება გაყიდოს კლუბი მასზე, ვინც „ტორპედოს“ მაღალი მიზნების შესრულებაში დაეხმარება“.

... „ჟილინასთან“ წაგებამ ქუთაისელთა მოთმინების ფიალა აავსო და მათმა რეაქციამაც არ დაახანა. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ გულშემატკივრებს ვერც „ვისოლი ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტმა და ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ წაუყრუა:

4 ივლისს, ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე, სლოვაკურ „ჟილინასთან“ წარუმატებელ თამაშს გულშემატკივართა ემოციური გულისწყრომა მოჰყვა, რასაც კლუბის მენეჯმენტი გაგებით ხვდება. ის ცვლილებები, რომელიც ბოლო პერიოდში ქუთაისის „ტორპედომ“ განიცადა, დადებით შედეგებს მოიტანს, მაგრამ ამას გარკვეული დრო დასჭირდება.

კლუბის მენეჯმენტს სწამს, რომ მოთმინებითა და შრომით კლუბი მიაღწევს წარმატებას, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი ასე ელოდება. ჩვენ გვინდა ვთხოვოთ და მოვუწოდოთ გულშემატკივრებს, ტრადიციულად, ჩვეული შემართებით გააგრძელონ კლუბის მხარდაჭერა და გავამხნევოთ ჩვენი ფეხბურთელები.

ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი შემადგენლობა დაკომპლექტებულია ჩვენი ქვეყნის ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელებით. კლუბის მენეჯმენტი განაგრძობს ზრუნვას სელექციის გზით გუნდის გაძლიერებისათვის და დარწმუნებული ვართ, უახლოეს მომავალში ვიხილავთ იმ თამაშს, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ ეკადრება.

ჩვენ ვიღებთ მხოლოდ დაპირებებს, რომლებიც არ სრულდება: არ აშენებულა საფეხბურთო აკადემია, არ ითვალისწინებდნენ გულშემატკივრის აზრს და არც მნიშვნელოვანი ტრანსფერები განხორციელებულა. არადა, ევროთასებამდე შეგვპირდნენ, რომ ძლიერ უცხოელ ლეგიონერებს ჩამოიყვანდნენ და ეს პირობაც არ შეასრულეს. შედეგი კი ყველამ ნახა — სლოვაკეთის „ჟილინამ“ პირწმინდად დაგვამარცხა, — ამბობს ერთ-ერთი ქუთაისელი გულშემატკივარი.

„ტორპედოს“ ფანკლუბის წევრები მათ აღარ უსმენენ — მომხდართან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს და მკვახე განცხადება გააკეთეს. ისინი ითხოვენ, რომ გუნდის მეპატრონემ კომპანია „ვისოლმა“ კლუბი დაუყოვნებლივ დატოვოს.

— „ვისოლმა“ ქუთაისის „ტორპედო“ 3 წლის წინ შეისყიდა. მაშინ კომპანია კლუბში ისეთი ამბიციებით მოვიდა, როგორიც ქალაქს და გუნდს შეეფერება, თუმცა სულ მალე კურსს გადაუხვია. დროდადრო „ვისოლის“ მიმართ ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, კომპანია კლუბს სათანადოდ ვერ მართავდა. არ აშენებულა მათი დაპირებული აკადემია, არ განხორციელებულა დიდი კალიბრის ტრანსფერები, არ ხდებოდა გულშემატკივრების აზრის გათვალისწინება.

წლევანდელი ზაფხული კულმინაცია იყო. გუნდიდან გაუშვეს გამოცდილი მოთამაშეები და საქართველოს ერთ–ერთი საუკეთესო მწვრთნელი გია გეგუჩაძე. სავარაუდოდ, შემადგენლობა თანხების დაზოგვის მიზნით გააახალგაზრდავეს და ესპანელი მწვრთნელი მოიყვანეს. რამაც სავალალო შედეგი გამოიღო: არც ისე მაღალი კლასის გუნდთან, სლოვაკეთის „ჟილინასთან“ საკუთარ სტადიონზე 0:3 დავმარცხდით.

უკანასკნელ პერიოდში კომპანია „ვისოლისა“ და „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ლექსო თოფურიას თანამშრომლობამ შედეგად ქუთაისის „ლოკომოტივი“ მოგვცა. ეს ყველაფერი ადგილობრივი ფეხბურთელების უკანა პლანზე გადაწევის ხარჯზე მოხდა.

თამაშზე გულშემატკივრები ღიად გამოვხატავდით უკმაყოფილებას „ვისოლის“ მიმართ, რის შემდეგაც დაიწყო ზეწოლა პოლიციის მხრიდან. კონფლიქტი შეხლა—შემოხლაშიც გადაიზარდა და რამდენიმე გულშემატკივარი გვიან ღამემდე პოლიციის შენობაში გადაიყვანეს, მათ შორის არასრულწლოვნებიც.

კლუბის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქუთაისში ამ 3 წლის განმავლობაში 30 მილიონი დაიხარჯა, რაც კლუბს ნამდვილად არ ეტყობა. განვითარებული მოვლენებით ქუთაისელი გულშემატკივრები თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ და ვითხოვთ: კომპანია „ვისოლმა“ და ლექსო თოფურიამ ქუთაისის „ტორპედო“ მშვიდობიანად დატოვონ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქუთაისელი გულშემატკივრების მხრიდან ყველაფერს ადეკვატური რეაგირება მოჰყვება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ტორპედო“ ქუთაისელებისაა და არა რომელიმე კონკრეტული კომპანიის“, — ვკითხულობთ „ჯუნგლების“ განცხადებაში.

ხელმეორედ ჩაკითხვა არ სჭირდება, ეს არის პირდაპირი მუქარა. ამგვარად, „ვისოლი“ არჩევანის წინაშე დგას — ან გუნდი უნდა გააძლიეროს, გამოცდილი მოთამაშეები მოიყვანოს და ფულის დახარჯვით გულშემატკივართა გულები მოიგოს, ან „ტორპედო“ უნდა დატოვოს.

ქუთაისი სხვა ქალაქია, იქ ჩასულს ადგილობრივზე მეტი მოეთხოვება, ზერელედ გუნდთან მოპყრობის უფლებასაც არავის მისცემენ.

**კორნელი კეკელია**

### ჭადრაკი

# ყაზანი ჩვენი გაწბილებისა



**რუსეთის ქალაქ ყაზანში მიმდინარე ზაფხულის XXVI უნივერსიადაზე საჭადრაკო ტურნირიც დასრულდა და ქართველები ამ შემთხვევაშიც უმედლოდ დარჩნენ.**

ჩინელთა ტრიუმფით წარიმართა ქალთა ტურნირი. საპრიზო სამეული ქსუე ჟაომ (2553, 7.5 ქულა), ვენჯუნ ჟუმ (2531, 7) და ჟონგი ტანმა (2478, 7) დააკომპლექტეს. სოფიკო გურამიშვილმა (2421) და მერი არაბიძემ (2320) 6-6 ქულა დააგროვეს და მეცხრე-მეათე ადგილები გაინაწილეს, ხოლო სალომე სირაძემ (2069) 4.5 ქულით 71 მონაწილეს შორის 38-ე პოზიცია დაიკავა.

კიდევ უფრო დაძაბულად წარიმართა ვაჟთა ტურნირი, რომლის გამარჯვებულიც ფილიპინელი უესლი სო (2708) გახდა, რომელმაც კიდევ 8 მოჭადრაკის დარად 6.5 ქულა მოაგროვა და მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა. ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, სომეხმა ზავენ ანდრიასიანმა (2620) და ჩინელმა ჩაო ლიმ (2686) მოიპოვეს.

ქართველმა მოჭადრაკეებმა გიორგი მარგველაშვილმა (2548) და გაიოზ ნიგალიძემ (2497) ერთნაირი შედეგი აჩვენეს. მათ 5.5-5.5 ქულა დააგროვეს და მეცხრამეტე-მეოცე ადგილები ერგოთ.

**გიორგი შოთაძე**

### კალათბურთი

# კუპატაძემ ფინალი იმსაჯა



**მაკა კუპატაძის კიდევ ერთი აღიარება: ფიბა-ს ერთადერთმა მანდილოსანმა ქართველმა მსაჯმა ევროპის 20-წლამდელ ქალთა ჩემპიონატის ფინალი იმსაჯა. კონტინენტის ახალგაზრდული პირველობის საჩემპიონო მატჩში ესპანეთმა დაძაბულ ბრძოლაში იტალია 59:53 დაამარცხა და სწორედ ამ შეხვედრას მოემსახურა კუპატაძე.**

2 კვირის წინათ მაკა კუპატაძემ ქალთა ევროპის ჩემპიონატზე მე-3 ადგილისთვის მატჩი იმსაჯა, რაც ქართველი არბიტრის დიდი აღიარება გახლდათ, ახლა კი მაკას 20-წლამდელთა ფინალი ანდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან იმედები გაამართლა და ევროპის წამყვან არბიტრთა ამქარში წარმატებით ჩაჯდა. მაკასთან ერთად ფინალს რუმინელი ფაბიანა მარტინესკუ და თურქი იალმან ოზლემი მოემსახურნენ.

კუპატაძეს დამდეგ აგვისტოში კიდევ მოუწევს ევროპირველობაზე მსაჯობა. ამჯერად ჩვენი თანამემამულე 18-წლამდელ ქალთა ევროპის ჩემპიონატზეა მიწვეული.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### ინტერნეტიდან

# ალეტა და მაიკი

**იყო და არა იყო რა, იყო ერთი უმშვენიერესი ქალი, სახელად ალეტა ოუშენი. ერთ დღესაც ალეტამ გადაწყვიტა პორნოვარსკვლავი გამხდარიყო და ეს ოცნება, რასაკვირველია, მალევე აისრულა. მისი მომხიბვლელობის მქონე ქალს, აბა, ასეთი „მარტივი“ რამ როგორ გაუჭირდებოდა?..**

მაგრამ წლები თავისას შვრება. გადიოდა დრო, ალეტაც ნელ-ნელა ბერდებოდა. ჰოდა, აბა, თუ მიხვდებით, რას ეძებს სიბერეშეპარული პორნოვარსკვლავი? თქვენ სწორად მიხვდით! რა თქმა უნდა, სიმშვიდესა და მუდმივ საყვარელს!

ბულვარული პრესა წერს, რომ ალეტა ოუშენი ბოლო დროს ცნობილ ამერიკელ ვეტერან მოკრივე მაიკ ტაისონს ხვდება. ტაისონი ამტკიცებს, მსგავსი არაფერი ხდებაო, მაგრამ ალეტა და მაიკი რამდენჯერმე ერთად შეუნიშნავთ. აბა, როგორ გინდა დაიჯერო, რომ „რკინის მაიკი“ ასეთ მრავლისმნახველ ქალს შეხვდა და მათ შორის არაფერი მოხდა?..

**მანუჩარ გიორგაძე**



## ეკონომიკური ზრდა

# „მზითევის“ ტვირთი

**როგორც ჩანს, მავანთა „დანახჩავლები“ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის წლევანდელი ზრდის დაგეგმილი 6-პროცენტიანი თამასა უტოპიაა, რადგან „მეოცნებეთა“ მთავრობის ერთიანი, სტრატეგიულად გათვლილი სამოქმედო ეკონომიკური გეგმა არა აქვს, მართლდება. მაისში ეკონომიკის ნულოვანი ზრდა ივნისში, მართალია, 2,3-პროცენტიანი გამოცოცხლებით შეიცვალა, მაგრამ დაგეგმილი წლიური 6-პროცენტიანი ნიშნულის მიღწევის საეჭვოობა გასული კვირის მიწურულს უკვე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმაც დაადასტურა.**

ამის მიზეზად ფინანსთა მინისტრმა მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღის სიმძლავრით დაასაბუთა, რომელიც ექსპერტთა დაკვირვებით ევროპაში გაცილებით უფრო მეტად იგრძნობა, რასაც ევროკავშირის (და არა მარტო მისი) ქვეყნების ბოლო დროინდელი ეკონომიკური მეჩვენებლები მოწმობს. საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებაზე კი უდავოდ ინვესტიციური ნაკადის შემოდინების დასუსტებაც მოქმედებს, თუმცა კი წლის შუა პერიოდში მთავრობას მისი გაძლიერების იმედი ჰქონდა.

ამასთან, მრავალი ექსპერტი ხაზს უსვამს იმ გარემოებაც, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება ქვეყნის ეკონომიკაში მარტო, ასე ვთქვათ, „საინვესტიციო შიმშილის“ ბრალი არ არის, რადგან არაერთი ეკონომიკური პრობლემა ახლანდელ ხელისუფლებას ძველისგან „მზითევში“ ერგო, რომლებსაც ის მთელი ცხრა წელი „აგროვებდა“. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ **არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი სოციალური ტიპის ეკონომიკაში ამ სფეროში რეფორმებს მყისიერი შედეგი არ მოაქვს,** რაც, ვფიქრობთ, სავსებით გასაგებია. ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ახლანდელი ჩავარდნის ფესვები წინა წლებში გატარებულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, (იგივე გადასახადების წინმსწრები ამოღება, ბიზნესის შევიწროებ-წართმევა და ა.შ.), ხოლო ამჟამად მიმდინარე ცვლილებათა შედეგი საგრძნობი მხოლოდ მომავალ წლებში გახდება. სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ითქვას, რომ ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მსოვლისთანავე საჯაროდ განაცხადა.

საყურადღებოა ის მომენტიც, რომ, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, **დღესდღეობით სახელმწიფო ბიუჯეტში იმაზე მეტი სახსრებია აკუმულირებული, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში, ანუ წლის პირველ ნახევარში იყო.** ეს კი, ზემოაღნიშნული ნეგატიური მომენტის, კერძოდ კი გადასახადების წინასწარი აკრეფის მანკიერი პრაქტიკის მიუხედავად, იმას მოწმობს, რომ **ბიუჯეტში მათი აკუმულირება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. ამას თუნდაც სახელმწიფო სექტორში ხელფასების, პენსიებისა და სოციალური შემწეობების გაცემა, ასევე ტრანსფერტების დროულად ჩარიცხვა მოწმობს.**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და, რაც მთავარია, სოციალური მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდა მცირე და საშუალო ბიზნესი, რომლის ერთობლივი ხვედრითი წილი ბიუჯეტში 10 პროცენტითაა გაზრდილი. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ გაზრდილია გადასახადის გადამხდელთა რიცხვი, საქონელბრუნვა და ა.შ. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია განვლილი წლების გახსენება, როცა საქართველოში საშუალო და, მით უმეტეს, წვრილი ბიზნესის წამოწყება, იურიდიული ბარიერის მოსპობის შედეგად, ძალიან ადვილი იყო, თუმცა კი შემდგომ მისი მართვა, ბაზარზე დამკვიდრება და, მით უმეტეს, გაფართოება უკვე მეწარმის „პოლიტიკურ ელფერსა“ და მის მიმართ ხელისუფლების ძლევამოსილ წარმომადგენელთა დამოკიდებულებაზე იყო დაფუძნებული. სწორედ **ამ გარემოებამ დასწია უკან ქვეყნის „სოციალური ხერხემლის“ — საშუალო კლასის ჩამოყალიბებისა და წელში გამართვის პროცესი.**

ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების პირობებში, ბუნებრივია, კვლავ მწვავდება საქართველოსთვის ისეთი უაღრესად მწვავე სოციალური პრობლემა, როგორიცაა უმუშევრობა. მართალია, როგორც ზემოთ ითქვა, ეკონომიკური რეფორმების შედეგი, ასე ვთქვათ, „ხელშესახები“ მხოლოდ რამდენიმე წელიწადში იქნება, მაგრამ ხალხს თავის რჩენა, ოჯახების პატრონობა ახლა, ამჟამად სჭირდება, ამდენად საკითხი მეტად აქტუალურია. არაერთი სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა, რომ მოსახლეობისთვის **უმუშევრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მტკივნეულ პრობლემაზეც უფრო მწვავედ აღიქმევა!** უმუშევრობას №1 გადასაჭრელ პრობლემად ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი მიიჩნევს, განსაკუთრებით შეწუხებული კი ამით ქალაქების მცხოვრებნი არიან. **უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად, უწინარესად, საჭიროა მეწარმეთათვის ბიზნესის წარმოებისა და განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა საკანონმდებლო ბერკეტის მეშვეობით** (ვთქვათ, სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნით, ეფექტიანი ანტიმონოპოლიური მოქმედებებით, გარკვეული ტიპის საგადასახადო შეღავათების დაწესებით და სხვა), რადგან ახალ სამუშაო ადგილებს სწორედ ისინი და არა სახელმწიფო ჰქმნიან. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა შრომის ბაზრის მიგრანტებისგან დაცვა, რაც აუცილებლად საკანონმდებლო საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ამის მიზეზთა ახსნა, ვფიქრობთ, მაინცდამაინც საჭირო არ არის: **იქ სადაც შესაძლებლობა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა გვყავს, ადგილობრივ უმუშევარს უპირობო უპირატესობა უნდა ჰქონდეს მინიჭებული.** აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამჟამად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შრომითი მიგრაციის შესახებ კანონი მუშავდება და, იმედია, მასში ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესი უწინარესი იქნება.



უმუშევრობის პრობლემის დაძლევასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა შრომის კოდექსში ახლახან შეტანილი ცვლილბებები, რომლებიც დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობებს გაცილებით უფრო ცივილიზებულს, თანამედროვეობასთან მიახლოებულს ხდის, ვიდრე ეს წინა წლებში იყო დამკვიდრებული. ამასთან დაკავშირებით კი აუცილებლად ხაზი გვინდა გავუსვათ ისეთ უმნიშვნელოვანეს მომენტს, რომელიც ამ ორ მხარეს (ანუ დამქირავებელსა და მუშაკს) შორის ერთგვარი „ამორტიზატორის“ როლს ასრულებს მთელ მსოფლიოში. **მხედველობაში გვაქვს როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული პროფესიული კავშირები, რომლებიც ყველა განვითარებულ თუ განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის ინტერესთა სადარაჯოზე დგას და რომელთა როლი ჯერ იყო და საბჭოთა კავშირის დროს დაკნინდა, შემდგომ კი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ იმ ძველი პროფკავშირების „ხათრით“ სულაც ნულზე დავიდა.** არადა, ამ უდიდესი ძალის უაღრესად დიდი პოტენციალის გამოყენება ისევე საკუთარი მოსახლეობის სოციალური ყოფის გასაუმჯობესებლად, მის უფლებათა დასაცავად და კიდევ მრავალი სხვა კუთხით, ვფიქრობთ, ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული საზრუნავი უნდა იყოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ლიტერატურული კონკურსი

# დასახელდნენ „საბას“ ფინალისტები

**2013 წლის ლიტერატურული კონკურსი „საბას„ პირველი ეტაპი დასრულდა. „თიბისი ბანკის„ ინფორმაციით, კონკურსის ჟიურიმ „საბას“ წლევანდელი ფინალისტები გამოავლინა. კონკურსზე წარდგენილი 265 წიგნიდან, ფინალურ ეტაპზე, 60 საუკეთესო მოხვდა.**

**ფინალისტებს შორის გამარჯვებულები სექტემბერში დასახელდება.**

**წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:**

**საუკეთესო რომანი:** 1. **ერეკლე დეისაძე,** „დამლაგებელი“; **2. ირაკლი ბერიაშვილი,** „იუდა“. 1982“; **3. ირაკლი სამსონაძე,** „ღრუბელი სახელად დარინდა“; **4. ლადო კილასონია,** „ფანტომასის კვალდაკვალ“; **5. ლაშა იმედაშვილი,** „თბილისური ამბავი“; **6. მიხო მოსულიშვილი,** „ჰელესა“; **7. ნაირა გელაშვილი,** „მე ის ვარ“;

**საუკეთესო პროზაული კრებული:** 1. **გიორგი შერვაშიძე,** „ჩემი იერუსალიმი“; **2. ზაალ სამადაშვილი,** „ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე“; **3. ირაკლი ლომოური,** „ავტონეკროლოგი“; **4. ირაკლი სამსონაძე,** „შემკრთალი ქუჩა“; **5. ნატა ვარადა,** „დედის კერძი“; **6. ნელი ბატიაშვილი,** „გამქოლი ქარი“; **7. ცოტნე ჩიქოვანი,** „ცხოვრების გზაზე“; 8.გიო მგელაძე, „SMS“;

**საუკეთესო პოეტური კრებული:** 1. **ანდრო ბუაჩიძე,** „ღამის ნათელი“; **2. ლია სტურუა,** „დავიწყების დღე“; **3. ბესიკ ხარანაული,** „მთავარი გამთამაშებელი“; **4.გაგა ნახუცრიშვილი,** „სტროფი“; **5. გივი ალხაზიშვილი,** „ეპისტოლეთა წიგნი“; **6. დიანა ანფიმიადი,** „ახლოხედვის ტრაექტორია“; **7.ვაჟა ხორნაული,** „როგორც ბაღიდან სურნელება — ლექსი გამოვიდა გულიდან“; **8. იაკი კაბე,** ლექსები; **9. კატო ჯავახიშვილი,** „ნაცვალი სახელი“;

**საუკეთესო პიესა:** **1.ალექს ჩიღვინაძე,** „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“; **2. ბასა ჟანიკაშვილი,** „ლაბადა და ფეხსაცმელი“; **3. ბექა ქურხული,** „აჰა, საცაა ხე წაიქცევა“; **4. დათო ტურაშვილი,** „დოდოს მოლოდინში“; **5. ირაკლი სამსონაძე,** „კლინიკური ქორწინება“; **6. ვანო ჩხიკვაძე,** „20 წლის წინათ“;

**საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი:** **1.თამთა დოლიძე,** „წყლის სახლი“; **2.ლევან ორახელაშვილი,** „მისტერ მემედ ეფენდის მისტერიები“; **3. მარი ბექაური,** „ელექტროთაობა“; **4.მარინა ელბაქიძე,** „გაცვლა“; **5. ნათია მერებაშვილი,** თარგმანისათვის — ტუვე იანსონის „საზაფხულო წიგნი“; **6. ნუკრი ბერეთელი,** „ჩიხი“; **7. სოფიკო ალავერდაშვილი,** „ბალეტი ტროტუარზე“; **8. კატია ვოლტერსი,** „იერიქონის ვარდი“; **9. ზაზა კოშკაძე,** „შუაღამის ცეკვა კიბოსთვის“;

**საუკეთესო თარგმანი:** 1. **გია ბერაძე** — ჯ. მ. კუტზეეს „სირცხვილი“; **2. გია ბერაძე** — ჯეიმს ჯოისის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“; **3. გია ჭუმბურიძე** — ჯ. მ. კუტზეეს „დაიკიდე, ჯივზ!“; **4. გიორგი შაყულაშვილი** — ომერ სეიფედინის „პირველი ცოდვა“; **5. გიორგი ქაჯაია** — გაიუს პეტრონიუს არბიტერის „სატირიკონი“; **6. დალი ფანჯიკიძე** — გრიგოლ რობაქიძის „ქალმერთის ძახილი“; **7. ზაზა ჭილაძე** — იულიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“; **8. თამარ ჯაფარიძე** — ჰენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“; **9. ლია ჩლაიძე** — ორჰან ფამუქის „მდუმარე სახლი“; **10. ნანა გოგოლაშვილი** — გრიგოლ რობაქიძის „მეგი — ქართველი გოგონა“; **11. ნანა ჯანაშია** — ოია ბაიდარის „დაფერფლილები“; **12. ნიკა სამუშია** — ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“; **13. ხათუნა ცხადაძე** — ანტონიო ტაბუკის „მიაჩნია პერეირას“;

**საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა:** **1. ელგუჯა თავბერიძე,** „კალიმგრაფი“; 2. **ოქტაი ქაზუმოვი,** „129 გვერდი ლიტერატურაზე“;

**საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა:** **1. არჩილ ქიქოძე,** ესსეები; **2. გიორგი მაისურაძე,** „დაკარგული კონტექსტები“; 3. **ზაზა ბურჭულაძე,** „ნორმა“; **4. ლევან ბრეგაძე,** „ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“; **5. პეტრე მამრაძე,** „ავანტიურა 08.08.08“.

## ალიან-ჩალიანი

### „ცენტრ-პოინტის“ მიმართ ინტერესი გაიზარდა

**მას შემდეგ, რაც „ცენტრ-პოინტის“ წინააღმდეგ პროცესები დაიწყო მოსახლეობაში კომპანიის მიმართ ინტერესი უფრო გაიზარდა, — ამის შესახებ ვახტანგ რჩეულიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა.**

**მისი თქმით, სასამართლო პროცესების შემდეგ მათი მხრიდან, ვინც „ცენტრ-პოინტში“ სახლებს იშენებდნენ გარკვეული თანხები შევიდა. რჩეულიშვილის განცხადებით, „ცენტრ-პოინტს“ პრობლემები შეექმნა.**

**— ამხელა კომპანიის მუშაობის დროს არ არის გამორიცხული, რომ შეიქმნას კონკრეტული პრობლემები. იუსტიციის მაშინდელი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი რუსუდანთან მეგობრობდა. კომპანიისთვის დახმარების თხოვნით რუსუდანი მასთან მივიდა, თუმცა მას შემდეგ, რაც დაინახეს კომპანიის შესაძლებლობები და ის ფინანსური რესურსები, რაც მას გააჩნდა, მთავრობის წარმომადგენლებს აღეძრათ მადა.**

**მისივე განცხადებით, „ცენტრ-პოინტის“ გაკოტრებაში დიდი როლი ითამაშა „საქართველოს ბანკმაც“.**

**— ჩვენ ერთი კონკრეტული ობიექტისთვის „საქართველოს ბანკიდან„ ვისესხეთ ნახევარი მილიონი, თუმცა ჩავასესხეთ მილიონნახევარი. როცა ამხელა თანხებზეა საუბარი, ამან შეიძლება გამოიწვიოს ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ შეგვექმნა, — აცხადებს რჩეულიშვილი.**

**მისივე თქმით, „ცენტრ-პოინტი„ აღიარებს საკუთარ შეცდომებს, მაგრამ ის ბრალი, რომელიც წარდგენილი აქვს, არ უღიარებია.**

**ინტერპრესი**

## წერილები რედაქციას

### სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებს მივმართავ

**ამ რამდენიმე წლის წინათ ვწერდი და კიდევ მინდება იგივეს გამეორება, თუმც საგაზეთო სამუშაოების დრო აღარ არის, მაგრამ მაინც შეიძლება პატრონობა უმთავრესად იმ მონაკვეთისა (და ბევრი სხვისაც), რომელიც უშუალოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოპირდაპირე მხარეს (ვაშლიჯვარში) უყურადღებობის გამო უპატრონოდ გამოიყურება,** — არადა, გამრჯე კაცი მაგ ფართობს ისევე აავავებდა, როგორც მანამდე იყო: კარგ მსხმოიარე ვენახად — ან კარგ ბოსტნად და ასე შემდეგ. როცა ვეფხისა და მოყმის ძეგლიდან პოლიციის თბილისის სამმართველომდე ავტობუსით ვმგზავრობ, ბევრი მგზავრი ჩემნაირ გულისტკივილს გამოთქვამს.

### გავამწვანოთ მთათა კალთები

**ისტორიულად ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთები ერთ დროს ტყის მასივით იყო დაფარული. მაგრამ მტრის ხარბმა შემოსევებმა თუ უნიათო ჩიჩრენკებმა გადაწვეს, გაკაფეს და სხვადასხვა გზას გაუყენეს ქართული ბუნების ათასწლოვანი მშვენება, — რის გამოც გადახრიოკებული მთები საცოდავად გამოიყურება. თვით დედაქალაქშიც კი, ზოგან, სადაც მშენებლობები მიმდინარეობს, იმ ადგილებში ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარი ნადგურდება.**

მე რომ სასჯელაღსრულების მინისტრი ვიყო — გამოვითხოვდი საჭირო ტექნიკას და იოლვადამისჯილ პატიმრებს გამოვიყვანდი და ავამწვანებდი მთების კალთებს, ამით საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებდი და შთამომავლობა დაგვილოცავდა!..

პატივისცემით
**თენგიზ თოფაძე,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავებისას მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) აკრძალულია ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. იზვარას კალაპოტში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანის მიმდებარე ტერიტორია, „სავანის" კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 187 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 118,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 437 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე „ქსნის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 280 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 728 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 656 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 3 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) კარიერის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალისუბნის, საზანისა და თავასას მიმდებარე ტერიტორია, „ზედა ალისუბნის" (I, II და III უბანი) კირქვის ლოდის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 143 600 მ³, I უბანზე - 101 000 მ³, II უბანზე - 24 600 მ³ III უბანზე - 18 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალისუბნის, საზანისა და თავასას მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 4 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდგომ უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმები.<br>ბ) კარიერის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>გ) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს მისი შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოგნის მიმდებარე ტერიტორია, „გოგნის" (I და II უბანი) კირქვის (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 151 200 მ³, I უბანზე - 79 200 მ³, II უბანზე - 72 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოგნის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს | 2 200 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 10 | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 19 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 5**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
